სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 7 სექტემბერი 2006 №206 (2828) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასკდა ეს ოხერი გული!

AFP კოლაჟი

ბედო, გაგვაგებინე, რატომ? რატომ არ შეიძლება, ათ წელიწადში ერთხელ იქითა კარში უფრო მეტი გოლი გავიდეს, ვიდრე აქეთაში? მერედა, როგორც პატიოსანი ხალხი, იმ თამაშების მოგებას ხომ არ გთხოვთ, საცოდავად რომ დავლასლასებთ, სიტყვის ჩამოგდებას ისეთ თამაშებზე გიბედავთ, გუშინ უკრაინასთან რომ იყო. გუშინდელმა თამაშმა შინ საბერძნეთთან 1999 წლის, ბოსკამპის დროინდელი 1:2 არ გაგახსენა? მაშინაც რაღაც ამდაგვარი გაგვიკეთე, არა?! მერე ვამბობდით, ჩვენი რამდენიმე ბიჭი ცოტა მეტად გამოცდილი რომ ყოფილიყო, ბოლო მომენტში ასე კი არა, ისე გააკეთებდაო. ეჭვი არ შეგეპაროს, ახლაც იმდაგვარ რამეს ვიტყვით და მართლებიც ვიქნებით. მაგალითად, ვიტყვით, რომ ჩვენთან „საჯარიმოს ფეხბურთში“ ანუ ხალხის სამკვდრო-სასიცოცხლოდ აყვანასა და მაისურების ქაჩვაში ჯერ კიდევ უღრა[illegible]ია, ვიტყვით, რომ, როცა ზეიმობ, თან გ[illegible]ლი არ უნდა გაუშვა, კიდევ ძალიან ბევრს ვიტყვით, შენ ეჭვი არ შეგეპაროს, იქნებ, სულო ცოდვილო და, მსაჯიც კი ვახსენოთ, მაგრამ შენ? შენ რა მოგივა, ერთხელ, ხანდახან, შიგადაშიგ იმას ააცილებინო და ამას გაატანინო?! გთხოვთ, გემუდარებით, გადახედე შენს დამოკიდებულებას ჩვენი ტანჯული ეროვნული ნაკრებისადმი. მორჩილად და მოთმინებით ველით პასუხს.

შენი ქართველები

ვისაც საქართველოს გოლები გაუკვირდა, ვაშლი გაყიდოს

ოლეგ ბლოხინი: ეს სულ სხვა საქართველო იყო. არ მეგონა, ტოპმიოლერის ხელში გუნდი ასე თუ შეიცვლებოდა. ძალიან მძიმე თამაში გამოდგა და მადლობა ღმერთს, გაგვიმართლა. საქართველოსგან ასეთ წინააღმდეგობას ნამდვილად არ ველოდი, ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო. იღბალს უნდა ვუმადლოდეთ...

უკრაინელი ჟურნალისტის კითხვაზე, საქართველოსგან ორი გოლი როგორ გაუშვითო, ბლოხინმა საკმაოდ გაღიზიანებულმა უპასუხა, ამ კითხვის მერე, მგონი, ფეხბურთში არაფერი გესაქმება და სჯობს, ბაზარში ვაშლი მაინც გაყიდოო...

კლაუს ტოპმიოლერი: სამწუხაროა, რომ წავაგეთ, მაგრამ საერთო ჯამში თამაშით კმაყოფილი დავრჩი. დღეს ჩემმა გუნდმა აბსოლუტურად სხვა ფეხბურთი ითამაშა, ვიდრე ოთხი დღის წინ საფრანგეთთან — ამ ორ თამაშს შორის განსხვავება ცა და მიწასავითაა...

...ძალიან გაწბილებული ვარ შედეგით. სამწუხაროდ, დამარცხდა ის გუნდი, რომელსაც აუცილებლად უნდა მოეგო. ვეცდებით, დღევანდელი შეცდომები მომავალ მატჩებში აღმოვფხვრათ... რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი...

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

რამდენიმე განსხვავება საქართველოს და იტალიას შორის

ფრანკ რიბერი

AFP ბარი ბიდან

საფრანგეთი 3:1 იტალია

1:0 გოვუ (2), 2:0 ანრი (18), 2:1 ჯილარდინო (20), 3:1 გოვუ (55)
საფრანგეთი: კუპე, სანიოლი, ტურამი, გალასი, აბიდალი, რიბერი (საა 88), მაკელელე, ვიეირა, მალუდა, გოვუ (ვილტორდი 75), ანრი
მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი
იტალია: ბუფონი, ძამბროტა, კანავარო, ბარძალი, გროსო, სემიოლი (დი მიკელე 54), გატუზო, პირლო, პეროტა, კასანო (ინძაგი 73), ჯილარდინო (დე როსი 87)
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: კანავარო, ანრი, პეროტა, ჯილარდინო, ძამბროტა
მსაჯი: ჰ. ფანდელი (გერმანია)

თქვენი ნებართვით, ვიხუმრებთ: საფრანგეთის ნაკრებისთვის მსოფლიოს ჩემპიონთან და საქართველოს ნაკრებთან თამაში სულერთია, როგორც ერთის, ასევე მეორის კარში სამ-სამი გოლი გააქვს, ხოლო რაც შეეხება გაშვებულს, წამით ჩათვალეთ, შაბათს თბილისში ჯარიმიდან გიორგი დემეტრაძის დარტყმული ბურთი სამი სანტიმეტრით დაბლა რომ გაფრენილიყო... ამ შემთხვევაში ხომ ზუსტად იმ ანგარიშს მიიღებდით, „სტად დე ფრანსზე“ შეკრებილმა მაყურებელმა და მათთან ერთად დანარჩენმა მსოფლიომ წუხელ მსოფლიოს ჩემპიონატის 59 დღის წინანდელი ფინალის „გამეორებისას“ რომ იხილა.

ძალიან იფიცებოდნენ იტალიელებთან თამაშის წინ სამფეროვნები, ეს შეხვედრა ფინალში დამარცხებისთვის შურისძიება ვერანაირად ვერ იქნება, რადგან ფინალი ფინალი იყო, წავაგეთ და ის საქმე უკვე წასულია, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ვეღარაფერი მოგვიტანსო, მაგრამ იმის დაჯერება, რომ „სკუადრა აძურას“ დამარცხებას წუხელ მათ განსაკუთრებული გემო ვერ ჩაატანეს, მაინც არ შეიძლება. ძალიან საეჭვოა, ის, რაც წუხელ მოხდა, რაიმონ დომენეკის ფეხბურთელებისთვის მხოლოდ საქართველოსთან აღებული სამი ქულისთვის ახალი სამი ქულის მიმატება იყო და მეტი არაფერი.

და მაინც, რით განსხვავდებოდა თბილისში ნანახი საფრანგეთი „სტად დე ფრანსზე“ ნანახი საფრანგეთისგან? უპირველეს ყოვლისა, სიდნი გოვუთი, რომელიც დომენეკმა ლეი თანაგუნდელი მეკარე გრეგორი კუპე გახლდნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც სამფეროვანთა შემადგენლობაში მუნდიალის ფინალში არ მიეღოთ მონაწილეობა.

გოვუმ ანგარიში მეორე წუთზე გახსნა — უილიამ გალასის პასით ჯანლუიჯი ბუფონს შორეულ კუთხეში დაურტყა ბურთი. მეორე გოლი სამფეროვნებმა მე-18 წუთზე შეაგდეს, როდესაც მალუდას დარტყმული ბუფონმა მოიგერია და ანრიმ მახვილი კუთხიდან ტექნიკურად დაამატა. აქ ბურთი ოდნავ ასხლტა ფაბიო კანავაროს ფეხიდან.

იტალიამ ორ წუთში გაათანაბრა ანგარიში და ეს ასე მოხდა: ანდრეა პირლომ საჯარიმო დარტყმით მაღალი ბურთი ჩაჰკიდა ფრანგების კართან, სადაც ალბერტო ჯილარდინომ იყოჩაღა და თავით გაუტანა გრეგორი კუპეს. თუ გახსოვთ, სწორედ პირლოს პასით გაიტანეს იტალიელებმა 9 ივლისის ფინალშიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მეკარე კუპეს ჩინებული თამაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ეპიზოდი, როდესაც ერიკ აბიდალს ფრანკ სემიოლის წნეხქვეშ ბურთი საკუთარ კარში ეჭრებოდა, კუპემ კი იყოჩაღა.

და მაინც, მორიგი გოლი ისევ საფრანგეთმა გაიტანა და სრულიად დამსახურებულადაც — ვილი სანიოლის პასით გოვუმ თავისი მეორე შეაგდო.

სხვათა შორის, გოვუს ჰეთ თრიქიც შეეძლო, მაგრამ ბუფონმა არ დაანება, თამაშის მიწურულს კი მდგომარეობის გამოსწორების იტალიელთა რამდენიმე ცდა კვლავ კუპემ ჩაშალა.

პაპუნა კედია

შოტლანდია	2	2	0	0	8:1	6
საფრანგეთი	2	2	0	0	6:1	6
საქართველო	3	1	0	2	8:6	3
უკრაინა	1	1	0	0	3:2	3
ლიტვა	2	0	1	1	2:4	1
იტალია	2	0	1	1	2:4	1
ფარერები	2	0	0	2	0:12	0

იტალიასთან ლიტ-ვაა შოტლანდიასთან დაიწვა

ლიტვა 1:2 შოტლანდია

0:1 დეილი (46), 0:2 მილერი (62), 1:2 მიციეიკა (85)
ლიტვა: კარჩემარსკასი, სტანკევიჩიუსი, ჯიაუკშტასი, შკერლა, ყვირეგდაუსკასი, პრეიკშაიტისი (მიციეიკა 81), სავენასი (ტიმოშაუსკასი 50), მიკოლიუნასი (ლაბუკასი 66), კალონასი, პოშკუსი, დანილიავიჩუსი
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი
შოტლანდია: გორდონი, დეილი, ვეირი, კოლდუელი, ქვოში (ბოიდი 43), ჰარტლი (სვეირინი 88), ნეისმიტი, პრესლი, ფლეტჩერი, მაკფადენი, მილერი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: მილერი, დეილი, კოლდუელი, პოშკუსი, კალონარი
მსაჯი: ვ. ჰრინაკი (სლოვაკეთი)

ფეხბურთი იმითაცაა კარგი, რომ რაგინდარა სენსაცია სჩვევია და მერე იმ სენსაციის ავტორს უკუღმა დაუტრიალებს საქმეს. ასე დაემართა ლიტვას, რომელმაც ოთხი დღის წინ იტალიიდან გმირული ქულა წამოიღო.

ვერ ვიტყვი, რომ ამის გათვალისწინებითაც ალგიმანტას ლიუბინსკასის გუნდი ფავორიტად ითვლებოდა სქოთებთან. უოლტერ სმიტს ბიჭები დაუღვინდნენ — კენი მილერი, დარენ ფლეტჩერი, კევინ მაკფადენი და სხვები ასაკში შედიან, ჰოდა, წესით, „მამაცმა გულებმა“, ბოლო შესარჩევ ციკლებში რომ ქულებს არიგებდნენ, აწი თვალებში უნდა გამოიხედონ.

სქოთები მეორე ტაიმის პირველ წუთზევე დაწინაურდნენ კრისტიან დეილის გოლით, რასაც კენი მილერის გასროლილიც მოჰყვა და ლიტვა შოკში ჩავარდა. მხოლოდ ბოლოს გაიბრძოლეს მასპინძლებმა — შეცვლაზე ოთხი წუთის შესულმა დარიუს მიციეიკამ ეფექტურად შეაგდო და თავისიანებს იმედი მისცა, მაგრამ...

ილია ნანოგაშვილი

დარიუს მიციეიკას საგოლე მჯრატელამ ლიტვას ვერ უშველა

SLOT POKER CLUB VEGA

საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ქართველთა სამწვრთნელო შტაბი მსაჯს საჯაროდ დაემდურა

ანდრეი შევჩენკომ ერთხელ იდროვა და ისიც გაიტანა

კინაღამ, რომელიც ითვლება ქართველების თამაში თამაში იყო

კიევი. 6 სექტემბერი. 20 საათი. ოლიმპიისკი. 30 000 მაყურებელი

უკრაინა 3:2 საქართველო

ᲒᲝ შევჩენკო (31), ᲒᲘ არველაძე (37), ᲒᲚ დემეტრაძე (62), 2:2 როტანი (63), 3:2 რუსოლი (79)

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, რუსოლი, შელიაევი, გუსევი, რებროვი (ვორონინი 60), გუსინი (იეზერსკი 46), ტკაჩენკო (ვორობეი 59), როტანი, შევჩენკო *სათადარიგონი:* კერნოზენკო, კალინიჩენკო, ბელიკი, სვიდერსკი **მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი	**საქართველო:** ჭანტურია, იმედაშვილი (კანდელაკი 34), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა, კანკავა, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (აშვეთია 82), კვირკველია (მუჯირი 81), არველაძე, დემეტრაძე *სათადარიგონი:* ლომაია, შაშიაშვილი, იაშვილი, მარცვალაძე **მწვრთნელი:** კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: გოგუა, დემეტრაძე, იეზერსკი, ხიზანიშვილი, არველაძე

მსაჯები: ი. იარა; პ. ფილიპეკი, ა. კორდულა; მ. ბატაკი (ყველა ჩეხეთი)

დამკვირვებელი: ა. მეხსონი (ფინეთი); **უეფას დელეგატი:** ი. მაფეიკასი (ლატვია)

ᲫᲝᲒᲐ ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ

ᲙᲘᲔᲕᲘᲓᲐᲜ

ᲛᲐᲢᲩᲘᲡᲓᲔ

მატჩის დაწყებამდე 40 წუთით ადრე კიევის „ოლიმპიისკიზე“ გასაკვირად ცოტა ხალხია, დაახლოებით 2000-2500 ქომაგი თუ ჩანს სტადიონის 44-ათასიან პირველ იარუსზე, ხოლო მეორე საერთოდ დაკეტილია — მხოლოდ ერთ სექტორში მოუყრიათ თავი მედოლე-მედროშე ქომაგებს და დანარჩენებს, ალბათ, სწორედ ზემოდან აიყოლიებენ.

ვნახოთ, მოგვიანებით გაყიდული ბილეთების რაოდენობას დაითვლიან და ზუსტად გვეცოდინება მაყურებელთა რაოდენობა.

გუნდები უკვე მოედანზე გამოჩნდნენ და მოთელვა დაიწყეს. უკრაინელი ჟურნალისტები და ქომაგები ჩვენების მიმართ პატივისცემას არ მალავენ. არც ულტრა-ფანობა გამოირჩევა განსაკუთრებული აგრესიით. გაიმარჯოს მეგობრობამ, ანუ ფრე იყოსო. ასეთია უკრაინელი მაყურებლის თამაშისწინა განყობა.

ადგილობრივი დიქტორი შეუდგა ქომაგების გამხნევებას და ერთი საინტერესო ფაქტიც ახსენა — ჯერჯერობით ქართველები ჭარბობენო. ჩვენები ორ სექტორში არიან მოკალათებულნი, რა თქმა უნდა, გამარჯვების იმედით... ხალხი ნელ-ნელა ემატება, თუმცა ქვედა იარუსი სანახევროდაც არ არის შევსებული. დაახლოებით 26-28 ათასს ელიან...

გუნდები ეროვნული ჰიმნებისთვის ჩამწკრივდნენ და...

ᲛᲐᲢᲩᲘ

...კლაუს ტოპმიოლერმა, დაპირებისამებრ, შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეცვალა, ფრანგებთან მატჩისგან განსხვავებით ძირითადში ოთხი ახალი ფეხბურთელია. ჩვენების საწყის განლაგებას 4-4-2 სახე აქვს... წინ შოთა არველაძე და გიორგი დემეტრაძე არიან.

და აი, პირველი შეტევა მასპინძელთა კართან, ლევან კობიაშვილის ჩაწოდებული ალექსანდრ შოვკოვსკიმ მოიგერია.

უკრანელთა შეტევებისას ანდრეი შევჩენკოს ზურაბ ხიზანიშვილი არ უნდა მოშორდეს.

მე-10 წუთისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, კარისკენ პირველი დარტყმა კი შოთა არველაძისაა. კიდევ 10 წუთი მიილია, მეკარეებმა თითოჯერ მიიღეს ბურთი, რომელიც მოედნის შუაში დაგორავს, მეტოქეები ძალიან ერიდებიან შეტევას, თუმცა ეს მასპინძლების თამაშია: თავის ნახევარზე პრესინგით შლიან ჩვენების შეტევას.

26-ე წუთი: ჯერჯერობით საქართველოს ნაკრების ყველაზე რეალური საგოლე შანსი, ძალიან რეალური მომენტი. არველაძემ ტიმოშჩუკს მოედნის შუაში დაასწრო და უმწვავესი პასით დავით კვირკველია ანდრეი რუსოლს შეატოვა. კვირკველია მცველს გასცდა, ძალიან ახლოდან შორეული კუთხისკენ დაარტყა, შოვკოვსკიმ ბურთს თითები წაარტყა, გიორგი დემეტრაძეს კი წამი დააკლდა დასამატებლად...

მალე რუსოლს თავად მიეცა საგოლე შანსი, მაგრამ მისი თავური ჭანტურიამ მოიგერია...

და გოლი: უკრაინელებმა ბურთი მარცხნიდან მარჯვენა ფლანგზე გადაიტანეს. სერგეი ტკაჩენკომ ბურთი უპრობლემოდ გააჩერა და უკვე მერამდენედ ისე ჩააწოდა, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა. ამ ჩაწოდებულს კი ანდრეი შევჩენკომ ზუსტად შეურჩია ადგილი და თავურით გაიტანა. ეს ამბავი 31-ე წუთზე მოხდა. ორ წუთში კი კლაუს ტოპმიოლერმა სწორედ მარცხენა მცველად მოთამაშე დავით იმედაშვილი ილია კანდელაკით შეცვალა...

გოოოოოოოლ! — იხუვლა უკვე ქართულმა ტრიბუნამ. არველაძემ სადღაც საჯარიმოს ხაზიდან ისეთი დაარტყა, შოვკოვსკის შანსი არ დაუტოვა. ჩინებული გოლი ვნახეთ... ტაიმის ბოლომდე 8 წუთი დარჩა.

ანდრეი შევჩენკო ჯარიმის შესასრულებლად ემზადება, ბურთი კედელს მოხვდა. უკრაინელები შესამჩნევად ანერვიულდნენ და ზედიზედ ორჯერ ძალიან იუხეშეს. მსაჯმა, რომელიც, სხვას ვერ ვიტყვით და, უკრაინულად უსტვენდა, არც შელიაევი გააფრთხილა, არც რებროვი. ამასობაში კი ტაიმიც დამთავრდა...

ჯერჯერობით თანაბარი თამაშია. უკრაინელთა უპირატესობა არც ისე თვალსაჩინოა, როგორსაც ალბათ ბევრი ელოდა. საქართველოს ნაკრები მკაცრად განსაზღვრული ტაქტიკით თამაშობს. დაცვაში მაქსიმალურად კომპაქტურად თუ, რა თქმა უნდა, მარცხენა ფლანგზე საწყის ნახევარ საათში შექმნილ პრობლემებს არ ჩავთვლით.

შეტევაში ძალიან აქტიურობს მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია. სწორედ მისი მწვავე გარღვევების შემდეგ უკრაინული დაცვა რამდენჯერმე შეცდა და საგოლედ კარგი სიტუაციები შეიქმნა. ზოგადად კი, ქართველები კონტრშეტევებისას მეტ-ნაკლებად სახიფათონი არიან და ვნახოთ, მეორე ტაიმში ეგებ უფრო კარგი თამაშიც ვიხილოთ...

ჩვენების შემადგენლობაში ცვლილება არაა. აი, ოლეგ ბლოხინმა კი გოლამდე არველაძისგან გაბითურებული ანდრეი გუსინი ვლადიმირ იეზერსკით შეცვალა.

უკრაინამ მარწუხებს უფრო მოუჭირა და გააქტიურდა, თუმცა საქართველო დაცვაში ზუსტად თამაშობს, მალხაზ ასათიანმა რამდენიმე სახიფათო პასი ჩაუჭრა უკრაინელებს. აქ კი ბლოხინი თავდასხმის გასაძლიერებლად ლევერკუზენელ ანდრეი ვორონინს ამზადებს. ამ თავდამსხმელმა წინა შესარჩევ ციკლში საქართველოს ლვოვში პირველი გოლი გაუტანა. მალევე შეცვლაზე შესულმა იეზერსკიმ კვირკველიასთან უხეშობისთვის გაფრთხილება დაიმსახურა.

გოოოოოოოოოლ! სწორედ ამ ჯარიმას მოჰყვა გოლი. გიორგი დემეტრაძემ ჩინებულად დაატრიალა, ზურაბ ხიზანიშვილმა კარში მიმავალი ბურთი აიცილა და 1:2.

და უცებ, წამებში, უკრაინელების გოლი. ფლანგიდან შევჩენკოს ჩაწოდებულს ტანდაბალმა რუსლან როტანმა თავური მიაყოლა — 2:2. ძალიან სამწუხაროა...

ტრიბუნები აგუგუნდა, ქომაგობა დაიმუხტა. ახლა ალბათ თამაში კიდევ უფრო გაძნელდება. თუმცა ნელ-ნელა თამაში დაწყნარდა, უკრაინა მაინცდამაინც ვერაფრით გამოირჩევა. ბურთი ხშირად იკარგება მოედნის ცენტრში.

აი, ახლაც ჩვენებმა სწორედ შუაში დაკარგეს ბურთი, ვორონინი ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ კარგად დარტყმა ვეღარ შეძლო. ჭანტურიამ აუღო.

საქარ ველოს ნაკრებმა ამ ტემპსა და სტ უკრაინელებს თუ გაუძლო და ის თამაში შეინარჩუნა, რასაც ახლა თამაშობს, შესაძლოა, მესამე გოლიც გაიტანოს. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ კარგი შანსებია. უკრაინელთა დაცვაში ბევრი ხვრელი ჩანს...

და აგერ, ამ სიტყვების დასტურიც — ჩვენებმა ორი საგოლე მომენტი გააცუდეს. ჯერ კვირკველიამ ვერ შეძლო დარტყმა ზედ მეკარის ცხვირწინ და მცველმა კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებულზე კი კანკავას თავური მიზანს ოდნავ ასცდა.

ეს წუთია, შევჩენკოს აღარ დაეცადეს ქართველმა მცველებმა დარტყმა. კუთხური და რუსოლის გოლი, ისევ თავით — 3:2.

ტოპმიოლერმა სასწრაფოდ უხმო მიხეილ აშვეთიასა და დავით მუჯირს. აი, ესაა უკრაინის ნაკრები და მათი ფეხბურთი. როცა მოედანს მთლიანად ჩვენები დაეპატრონენ, სწორედ მაშინ მიიღო საქართველომ მესამე გოლი...

აგერ, კანდელაკის ჩინებული შანსი, მაგრამ სხარტად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ მას დარტყმა აღარ გამოუვიდა. წუთში კი დავით მუჯირის ტყვიასავით გასროლილი შოვკოვსკიმ სასწაულებრივად მოიგერია...

კარგა ხანია, ასეთი დაძაბული და დრამატული თამაში არ მინახავს, უკრაინელები აღტაცებას ვერ ფარავენ და ჩვენების მისამართით კომპლიმენტებს არ იშურებენ.

რა სამწუხაროა, რომ ასეთი თამაში წავაგეთ. ძალიან, ძალიან სამწუხაროა...

ესაა ფეხბურთი...

საქართველოს ნაკრებში უკრაინის ჩემპიონატიდან ცხრა ფეხბურთელია და მათ შორის არაა ვასილ გიგიაძე — უკრაინელი ჟურნალისტებისთვის ეს დიდი გამოცანაა და გუშინ, თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე გაესაუბრნენ „კრივბასის“ ქართველ თავდამსხმელს, რომელმაც უკრაინა — საქართველოს მატჩის ანგარიშად 1:1 იწინასწარმეტყველა...

ვასილ გიგიაძე (№20) ნაკრებში თამაშის იმედს არ კარგავს

კი მაგრამ, რატომ?

გიგიაძემ გიგიაძე ვერსად ამოიკითხა

— ნაკრებში რომ არ მიმიწვიეს, ჩემთვისაც დიდი მოულოდნელობა იყო. მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ მან იცის ჩემი შესაძლებლობები და ჩემი იმედი აქვს, თუმცა სიაში „გიგიაძე“ ვერსად ამოვიკითხე.

— გაბრაზდი?

— არც უამისობაა. მით უმეტეს, ტოპმიოლერი კმაყოფილი დარჩა ამხანაგურ მატჩებში ჩემი თამაშით.

— იმედი გაქვს, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება?

— რა თქმა უნდა. ჩემი საქმე თამაშია, დანარჩენი მწვრთნელმა უნდა გადაწყვიტოს.

— დღევანდელ მატჩზე რას იტყვი?

— დარწმუნებული ვარ, უშელავათო და დაძაბული თამაში იქნება. ჩემიანებს ფრანგებთან დიდი ანგარიშით წაგების გამო რეაბილიტაცია სჭირდებათ და მათ და უკრაინელებს შანსებს თანაბრად გავუნაწილებ.

— პროგნოზსაც ხომ არ გვეტყვი?

— ვფიქრობ, თამაში 1:1 დამთავრდება.

— ქართველი ფეხბურთელები ფსიქოლოგიურად გატეხილები ალარ იქნებიან?

— საქართველოს ნაკრებში პროფესიონალები თამაშობენ. ფრანგებთან წაგება უკვე ისტორიაა. დარწმუნებული ვარ, ოთხი დღე საკმარისი იქნებოდა, რათა გუნდს ეს დაევიწყებინა.

— რა მიზანი გაქვთ ქართველებს ამ შესარჩევში?

— რაც შეიძლება, მაღალი ადგილი. ვფიქრობ, საქართველოს შეუძლია სამეულში მოხვდეს.

— უკრაინის ნაკრებზე რას ფიქრობ?

— უკრაინა ერთ-ერთი ფავორიტია. მგონი, ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია. თავად განსაჯეთ: იტალია, საფრანგეთი, უკრაინა... შოტლანდიაც საკმაოდ კარგი გუნდია... საქართველო ეცდება, მათ ღირსეული კონკურენცია გაუწიოს.

არც ერთი ქართველი კიევის დინამოში

დემიანენკომ განზე გაიხედა

კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ საჩემპიონთალიგო განაცხადში არც ერთი ქართველი არ შეიყვანა. ასე რომ, ოთარ მარცვალაძეს და დავით იმედაშვილს მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატში და თასზე შეეძლებათ თამაში.

დემიანენკოს სიაში სულ 35 ფეხბურთელი მოხვდა, მათ შორის, ორი კოლუმბიელი, ჰარისონ ოტალვარო და ხოსე მორენო კიეველებმა ორიოდ დღის წინ გადაიბირეს.

შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „დინამოს“ მეტოქეები მადრიდის „რეალი“, ფრანგული „ლიონი“ და რუმინული „სტიაუა“ არიან.

კახა შალამბერიძე

უჰრინი გადაწყდა: ორი წლით დინამოში

როგორც მოსალოდნელი და თითქმის გადაწყვეტილი იყო, დუშან უჰრინი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელობას დათანხმდა. ეს „თითქმის“ კი გუშინ საბოლოოდ გაქრა.

„თბილისის „დინამოს“ ორწლიან კონტრაქტზე შევუთანხმდი. ბევრი წინადადება მქონდა, მაგრამ ქართველების წინადადებას დავთანხმდი“ — განაცხადა გუშინ უჰრინმა.

როგორც ორი დღის წინ ითქვა, უჰრინი 15 სექტემბერს ჩამოვა თბილისში და კონტრაქტსაც ოფიციალურად მაშინ გააფორმებს.

ლუკა თალაკვაძე

სირაძის და ყაველას ამხანაგური წყვილები

წყვილ-წყვილი გოლები გაიტანეს მიხეილ ყაველაშვილმა და დავით სირაძემ, რომელთა გუნდებმა ამხანაგური მატჩები ითამაშეს. „ბაზელმა“ სტუმრად 6:1 მოიგო „ლაუფენთან“ — „ყაველამ“ სრულად ითამაშა და მეხუთე-მეექვსე გოლები მიითვალა 86-ე და 90-ე წუთებზე. მოკლედ 35 წლის ქართველი ფორვარდი კვლავ თამაშის იშტაზეა.

მეორებუნდესლიგელმა აუე-მ კი გერმანიის ერთ-ერთი ქვედალიგელი „გრეიზი“ 12:0 გაანადგურა და დავით სირაძე ორი გოლით შეეწია თავისიანებს.

შეგახსენებთ: სირაძე წინა ამხანაგურ მატჩში გოლით და საგოლე პასით შეეშველა თავის გუნდს — ეს ჩეხურ „სპარტასთან“ 2:1 მოგებულ თამაშში მოხდა.

ილია ნანობაყვილი

დავით ყიფიანის თასი

ჯგუფური ეტაპი. წილისყრა

თასი ჯგუფურად დაიკენჭა

ფინალი ორჯერ იქნება

გეცოდინებათ, დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი წლეულს ახლებურად გათამაშდება. შესარჩევი პლეიოფების შემდეგ გაირკვა ის 16 გუნდი, რომლებიც ოთხ ოთხგუნდა ჯგუფში განაწილდნენ. თამაშები, ჩვეულებრივ, მიმოსვლით გაიმართება. ჯგუფიდან კი ნახევარფინალში მხოლოდ გამარჯვებულები გადიან.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ სათასო ჯგუფური ეტაპი იმად შემოიღო, რომ ჩემპიონატი 14-გუნდიანი გახდა და იქ თამაშების ნაკლებობა კლუბებს თასზე დატვირთვით „აანაზღაურებინოს“

ჯგუფების კენჭისყრა გუშინ გაიმართა პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში და ყველაზე საინტერესო, ალბათ, A ჯგუფია, სადაც „ამერი“ და „ზესტაფონი“ მოხვდნენ, ანუ წინა ფინალი ორჯერ გამეორდება...

A ჯგუფი

ამერი (თბილისი), ზესტაფონი,
კახეთი (თელავი), სპარტაკი (თბილისი)

B ჯგუფი

ვიტ ჯორჯია (თბილისი), ტორპედო (ქუთაისი),
ბორჯომი, მესხეთი (ახალციხე)

C ჯგუფი

დინამო (თბილისი), ოლიმპი (რუსთავი),
ჩიხურა (საჩხერე), ნორჩი დინამოელი (თბილისი)

D ჯგუფი

სიონი (ბოლნისი), მერანი (თბილისი),
ბათუმი, მეშაქრე (აგარა)

მატჩების განრიგი

13 სექტემბერი

ამერი — სპარტაკი, ზესტაფონი — კახეთი, ვიტ ჯორჯია — მესხეთი, ტორპედო — ბორჯომი, დინამო — ნორჩი დინამოელი, ოლიმპი — ჩიხურა, სიონი — მეშაქრე, მერანი — ბათუმი

27 სექტემბერი

სპარტაკი — კახეთი, ამერი — ზესტაფონი, მესხეთი — ბორჯომი, ვიტ ჯორჯია — ტორპედო, ნორჩი დინამოელი — ჩიხურა, დინამო — ოლიმპი, მეშაქრე — ბათუმი, სიონი — მერანი

25 ოქტომბერი

ზესტაფონი — სპარტაკი, კახეთი — ამერი, ტორპედო — მესხეთი, ბორჯომი — ვიტ ჯორჯია, ოლიმპი — ნორჩი დინამოელი, ჩიხურა — დინამო, მერანი — მეშაქრე, ბათუმი — სიონი

11 ნოემბერი

სპარტაკი — ამერი, კახეთი — ზესტაფონი, მესხეთი — ვიტ ჯორჯია, ბორჯომი — ტორპედო, ნორჩი დინამოელი — დინამო, ჩიხურა — ოლიმპი, მეშაქრე — სიონი, ბათუმი — მერანი

22 ნოემბერი

კახეთი — სპარტაკი, ზესტაფონი — ამერი, ბორჯომი — მესხეთი, ტორპედო — ვიტ ჯორჯია, ჩიხურა — ნორჩი დინამოელი, ოლიმპი — დინამო, ბათუმი — მეშაქრე, მერანი — სიონი

2 დეკემბერი

სპარტაკი — ზესტაფონი, ამერი — კახეთი, მესხეთი — ტორპედო, ვიტ ჯორჯია — ბორჯომი, ნორჩი დინამოელი — ოლიმპი, დინამო — ჩიხურა, მეშაქრე — მერანი, სიონი — ბათუმი.

ალბერტ ოსიდაძე ოთარი

თასის ბოლო ფინალისტები, „ამერი“ და „ზესტაფონი“ წილისყრამ ერთად მოახვედრა



მასწავლებელთან არ გინდა

სექსი

ბექემმა ცოლი ლაპარაკით დააორსულა

დევიდ ბექემს მეოთხე შვილი ეყოლებაო, ტყუილი გამოდგა.

ჭორის გავრცელება თავად ბექზის ბრალია, ოღონდაც მიზეზი ის არის, რომ „რეალის“ ინგლისელმა ეგრეც ვერ ისწავლა ესპანური და ჟურნალისტთა შეკითხვაზე, სი, მიუგო, რაც ესპანურად, ჰო-ს ნიშნავს.

ჟურნალისტს უკითხავს: მართალია, რომ ვიქტორია, ფეხმძიმედაო?

სი-ო, მიუგია ბექემს ღიმილით.

და თქვენ ბედნიერი ხართ?

სი-ო, ისევ გაუღიმია ბექემს.

თავად კარგად ხართო?

სი-ო.

ვიქტორიაცო?

სი-ო.

და სტატიაც გამოცხვა.

ჟურნალისტს ისიც დაუწერია, იტალიაში რომ იყვნენ ერთად, მეოთხე ბავშვი იქ გამოაცხვესო.

ჰოდა, ახლა ბექემი ამ სი-სი-ს ახსნას ცდილობს.

ადრე მას ესპანურის მასწავლებელი რებეკა ჰყავდა, მაგრამ გაკვეთილებზე სულ სხვა რამეებს აკეთებდა, რის გამოც ვიქტორიამ რებეკა დაიფრინა და ბექზს სი-სი-ღა შერჩა.

ირაკლი გამყრელიძე

მფრინავი სკამი

როგორც ლომი გალიაში

ტრავმის გამო მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დარჩენილმა, გულგატეხილმა კრისტიან ვიერიმ თქვა, რომ გასულ ზაფხულს კარიერის დასრულებას აპირებდა.

„იტალიის ნაკრების არც ერთი მატჩი არ მინახავს, მათ შორის ფინალიც. მხოლოდ თამაშის მომენტებს ვუყურე — განაცხადა ფორვარდმა — ისე ვიყავი, როგორც ლომი გალიაში, ტელევიზორის წინ ვერ ვჯდებოდი, ცუდად ვხდებოდი. ღამეებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ოცნებებში ვატარებდი. იქ რომ ვერ მოვხვდი, ძალიან ვინერვიულე და ამიტომაც მსურდა კარიერის დასრულება. ერთხანს ვიფიქრე, ტელევიზიაში, საფეხბურთო შოუში დავიწყებ მუშაობას და ამით ავინაზღაურებ-მეთქი დანაკლისს, რადგან ფეხბურთია ჩემი ცხოვრება და ეს არის ის, რაც ვიცი“.

კრისტიან ვიერიმ ამას წინათ ბერგამოს „ატალანტასთან“ გააფორმა კონტრაქტი და თვეში მხოლოდ 1700-ს ევროს მიიღებს. მას „ატალანტაში“ 1995-96 წლებშიც უთამაშია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იგი სამჰდორიელი გახდა, მანამდე კი „მონაკოში“ იყო, მაგრამ სამჰდორიელებს იგი ვარჯიშზე ერთხელაც არ უნახავთ, ისე გაატარა ზაფხული. ვიერის ხან სად ეძებდნენ, ხან სად, ბოლოს კი მოსწყინდათ გენუელებს და გაუუქმეს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ერთ წელიწადში დაახლოებით მილიონი ევრო უნდა მიეღო.

„სამჰდორიიდან“ წასულმა „ბობომ“ თავისი სამსახური სერია B-ში გაძევებულ „იუვენტუსს“ შესთავაზა, მაგრამ უარით გაისტუმრეს. ამის შემდეგ კი „ატლანტას“ მიაშურა.

გასულ ორშაბათს, ვიერის გუნდიდან წასვლის გამო გაბრაზებულმა სამჰდორიელმა ფანებმა მილანის ერთ-ერთ რესტორანში მასზე გაიწიეს. ვიერის ამ დროს თან მეგობარი ახლდა, რომელმაც დაუპატიჟებელ სტუმრებს შეუტია და სკამიც ესროლა, მაგრამ „ბობომ“ დააშოშმინა. საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ირაკლი ნინიძე

გალასიანთ ამბავი

მამისთვის შვილი ანგელოზია, კლემენტესთვის ეშმაკი

უილიამ გალასისგან
რანიერის წყენა არ ახსოვს



„ჩელსი“ — გალასის ხმაურობა გრძელდება.

„სტემფორდ ბრიჯიდან“ გამოფრენილ განცხადებას, უილიამ გალასი არ თამაშობდა და კონტრაქტის არგადასინჯვის შემთხვევაში საკუთარ კარში გოლის გატანით იმუქრებოდაო, ფეხბურთელის მამა გაეპასუხა.

სიმბირ გალასი ვესტ ინდოეთში ცხოვრობს და ევროპაში საფრანგეთ-იტალიის თამაშის საცქერლად იყო ჩასული.

„მე ჩემი შვილის საქმეებში არ ვერევი — თქვა სიმბირმა — მაგრამ როცა საქმე ღირსებას ეხება, ვერ გავჩუმდები. თუმცა ისიც ვიცი, რომ ბიჭი თავს არავის დააჩაგვრინებს. იმ მონაჩმახით მისი სახელის გატეხვა სურთ, მაგრამ არაფერი გამოუვათ.“

„ჩელსის“ ყოფილმა ბოსმა კლაუდიო რანიერიმ კი თქვა: „უილი მე ვიყიდე. დიდებული პროფესიონალია მინდორზე და მის გარეთაც. რა თქმა უნდა, არ ვიცი, ვერ გეტყვით რა მოხდა ბოლო ორ სეზონში, მაგრამ, რაც „ჩელსიმ“ დაწერა, იმის დაჯერება წარმოუდგენელია.“

სამაგიეროდ, ამის წარმოდგენა შეუძლია ესპანელ ხავიერ კლემენტეს, რომელიც ადრე მარსელის „ოლიმპიკს“ წვრთნიდა, ამ გუნდში კი გალასი თამაშობდა. 2001 წელს გალასს იქაც გაფიცვა წამოუწყია და ორი გადამწყვეტი თამაში გაუცდენია. უბრალოდ, უარი უთქვამს მინდორზე გასვლაზე.

„ასეთი რამ იქამდე არ მენახა — ამბობს კლემენტე — გალასს მხოლოდ იმ პოზიციაზე უნდოდა თამაში, რომელიც თვითონ მიაჩნდა სწორად და ამის გამო გაფიცული იყო.“

ასეა თუ ისე, ამ უქმეებზე გალასი უკვე „არსენალის“ შემადგენლობაში ითამაშებს.

ირაკლი გამყრელიძე



მცველის თავდასხმა პრეზიდენტზე

„მილანის“ კაპიტანმა პაოლო მალდინიმ ფიფას პრეზიდენტ იოზეფ ბლატერს შეუტია. მიზეზი: ფიფას შეფი მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის დაჯილდოებას არ დაესწრო. რაკი ევროპული გუნდები გავიდნენ ფინალში, თასის გადაცემის პატივი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონს დაუთმო.

„იტალიის ნაკრების მიმართ ფიფას საქციელი სკანდალურია — განაცხადა მალდინიმ ჟურნალ „პანორამასთან“ ინტერვიუში — ბლატერმა არ ინება ჩვენთვის თასი გადმოეცა და ამაზე იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ რეაგირება არ მოახდინა. კიდევ უფრო ამძიმებს ვითარებას ის, რომ ფიფას პრეზიდენტი არცთუ იშვიათად აუგად მოიხსენიებს იტალიურ ფეხბურთს. ახლა უკვე მესმის, თუ რატომ ვერ მოვიგეთ თავის დროზე სხვადასხვა ჯილდოები, რომლებიც გვეკუთვნოდა. ვფიქრობ, იტალიისადმი ასეთი დამოკიდებულება წინასწარგანზრახული პოლიტიკის შედეგია, მაგრამ დროა, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ისე მოიქცეს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნის ფედერაციას ეკადრება“.

ირაკლი ნინიძე

ფეხბურთელობა ბავშვობიდან დავისახე მიზნად და ბედნიერი ვარ, ოცნება რომ ამიხდა — უთხრა „ჩელსისა“ და უკრაინის ნაკრების თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ კიევის მესამე სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს, მას მერე, რაც მათ ვარჯიშს დაესწრო, მათ ჟონგლიორობას თვალი შეავლო და ერთი-ორჯერ თვითონაც გაჰკრა ბურთს ფეხი. შემდეგ ყველაზე თამამმა გოგონამ ჰკითხა, როგორი მოსწავლე იყავითო.

„კარგი — მიუგო ვარსკვლავმა — მაგრამ მხოლოდ მეათე კლასამდე, მერე კი შეკრებებზე მიწევდა სიარული და კიდევ კარგი, მასწავლებლები მინდობდნენ“.

და აქ, საქმეში ჟურნალისტები ჩაერივნენ...

რომელ ნაკრებში ითამაშებს ბავშვი, რომელიც ჯერ არ დაბადებულა?

— თქვენი და ამბობს, რომ ცოტას ხულიგნობდით კიდეც.

— ნამდვილი ხულიგანი არასოდეს ვყოფილვარ. შეიძლება ცოტას მართლა ვხულიგნობდი, მაგრამ...

— თქვენსავით დაკავებულ ადამიანს დროის გამონახვა და კიევში ბავშვებთან ჩამოსვლა, ალბათ, მართლა ძალიან გაუძნელდებოდა.

— თავი მოვალედ ჩავთვალე ბავშვებისთვის სწავლის დაწყება მიმელოცა და ევრეთწოდებული მსოფლიო გაკვეთილი ჩამეტარებინა. ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია.

— როგორ გრძნობს თავს თქვენი მეუღლე? მეორე ბავშვისთვის ოთახი უკვე მოამზადა?

— კრისტენი თავს კარგად გრძნობს, თუმცა მშობიარობამდეც არაღაფერი დარჩა. ბინა მხოლოდ ახლახანს შევარჩიეთ. გადავბარგდებით და ოთახზე მერე ვიფიქრებთ. ხომ იცით, ახალ ადგილას დაფუძნება, მითუფრო მოკლე დროში, ძნელია.

— გოგოს ელით თუ ბიჭს?

— არ გეტყვით, ოჯახური საიდუმლოა.

— ჯორდანმა იცის, და ან ძმა რომ ეყოლება?

— დიახ, ჩვენ ის მოვამზადეთ ამისათვის. ისე, ბავშვი ჯერ არ დაბადებულა და უკვე იმას მარჩიელობენ, რომელ ნაკრებში ითამაშებსო. ასეც ხომ არ შეიძლება.

— შინ რა ენაზე ლაპარაკობთ?

— იტალიურ-ინგლისურად. ნელნელა ვეჩვევი იმ ქვეყნის ენას, რომელშიც ახლა ვიწყებ ცხოვრებას.

— ახლა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მიმდინარეობს. მოტივაციის ნაკლებობას ხომ არ განიცდით?

— უკრაინის ნაკრები ყოველთვის მაქსიმალურად არის მობილიზებული. თან ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ფინალისტია. ეს უფრო ძლიერი ჯგუფია, ვიდრე ის, 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევში რომ გვყავდა. ცხადია, წარმატებაც გვექნება და იმედგაცრუებაც, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გადავლახოთ და ევრო 2008-ზე გავიდეთ.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე თქვენ პენალტი ვერ გაიტანეთ...

— ამას წინათ სტატისტიკა მაჩვენეს, 46 პენალტი დამირტყამს და 38 გამიტანია. მგონი საკმარისია, არა?

— „ჩელსის“ შემადგენლობაში ორი გოლი უკვე გაიტანეთ, მაგრამ თქვენმა გუნდმა ორივეჯერ წააგო. ხომ არ გძაბავთ ეს ამბავი?

— მიმაჩნია, რომ სეზონი კარგად დავიწყე. სხვა ამბავია, რომ ბოლო ათ წუთში გოლის გაშვება და წაგება სამწუხაროა. და მაინც, პრინციპში „ჩელსი“ აწყობილად თამაშობს, სწრაფად, ხოლო გოლებზე მთავარი ჩემთვის ყოველთვის გუნდის გამარჯვება იქნება.

— ინგლისში თამაში უფრო საინტერესოა ვიდრე იტალიაში?

— ძნელია შედარება, რადგან ორ სავსებით განსხვავებულ სტილზე ვლაპარაკობთ. იტალიაში თამაში საინტერესოა, მაგრამ მე ინგლისში თამაშიც მომწონს.

— როგორ ფიქრობთ, იტალიასა და საფრანგეთს ჩავარდნა ექნებათ?

— ძნელი სათქმელია, ყველაფერი ამ გუნდების განწყობაზეა დამოკიდებული. აი, შესარჩევი ციკლი გაგცემთ ამ კითხვაზე პასუხს.

— ლონდონში სახლის მოძებნაში მართლა აბრამოვიჩი გეხმარებოდათ?

— ტყუილია. ბინა, რომელსაც ჯერჯერობით ვიქირავებთ, მე და ჩემმა მეუღლემ შევარჩიეთ. შემდეგ რა იქნება, ვნახოთ. მესმის, რომ ყველაფრის გაგება გინდათ, მაგრამ ზოგ რამეზე ჯობს არაფერი ვთქვა. ჩემს შესახებ ისედაც უამრავი იწერება და ამას უამრავ ჭორამდე მივყავართ. არადა, მე მინდა, რომ ეს ჭორები რაც შეიძლება ნაკლები იყოს.

— „ჩელსის“ ბოლო შეხვედრაში თქვენ და ლამპარდი რაღაცაზე დიდი ინტერესით ლაპარაკობდით. რამეზე კამათობდით?

— ნამდვილად არ მახსოვს. ბიჭებთან საერთო ენა იოლად გამოვნახე, მათ კარგად მიმიღეს და ურთიერთობებიც ჩინებული ჩამოგვიყალიბდა. მერედა, ინგლისურადაც უკვე უკეთ ვლაპარაკობ.

— ყოფილი თანაგუნდელებიდან ვის არ ივიწყებთ?

— ყველასთან მაქვს კავშირი.

— ბერლუსკონისთან?

— სილვიოს და გალიანისაც ამასწინათ ველაპარაკე.

— თუ საიდუმლო არ არის, რაზე ლაპარაკობდით?

— არ მინდა დაკონკრეტება. მე „მილანს“ ჩემი კარიერის შვიდი წელიწადი დავუთმე და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი სკანდალი არ მქონია.

— „ჩელსი“ თქვენი კარიერის ბოლო კლუბი იქნება?

— ადრეა ამაზე ფიქრი, თუმცა ისიცაა, რომ წლეულს ოცდაათისა ვხდები. ძალიან მინდა, რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე მოედანზე.

— სერგეი რებროვივით ოდესმე კიევის „დინამოში“ ხომ არ დაბრუნდებით?

— რამე რომ ვთქვა, მერე უნდა ასვრულო, ამიტომ მოდი პასუხისგან თავს შევიკავებ.

— უკრაინას და პოლონეთს კი ამასობაში, ევრო 2012-ის ერთობლივად მასპინძლობა უნდათ. რას იტყვით ამაზე?

— თუ ეს გამოვიდა, განა მხოლოდ უკრაინული ფეხბურთის განვითარებაში გადაიდგმება დიდი ნაბიჯი, ეს იქნება დიდი ნაბიჯი მთლიანად ქვეყნის განვითარების საქმეში.

შაითანს არ შევეკვრები

ფრედი კანუტი, რომელიც ადრე პრემიერლიგაში თავდამსხმელობდა, ახლა კი „სევილიაში“ მეგოლეობს, უარს ამბობს კლუბის ახალი სპონსორის, სათამაშო კონცერნის **888.COM**-ის ლოგოთი თამაშზე.

კანუტი, როგორც მუსლიმი, ფულზე თამაშს ცოდვად მიიჩნევს და ამიტომ მოითხოვს, რომ მისთვის ლოგოს გარეშე მაისურა მოამზადონ.

„ვფიქრობ, კლუბმა გამიგო — თქვა 29 წლის მალელმა, — ვთხოვე ურეკლამო მაისური მოეცათ და წინააღმდეგობა არ ყოფილა“.

როდის დაღვინდება პოდოლსკი?

ფრანც ბეკენბაუერის აზრით, მიუნხენის „ბაიერნს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპიდან მერვედფინალში გასვლა გაუჭირდება. კლუბმა მიხაელ ბალაკი „ჩელსიში“ გაუშვა, ზე რობერტომ კი ახალ კონტრაქტზე ხელის მოწერა იუარა და სამშობლოში დაბრუნდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარკ ვან ბომელი, ლუკაშ პოდოლსკი და დანიელ ვან ბუიტენი შეიძინეს, ბეკენბაუერს ეეჭვება, რომ „ბაიერნი“ ამ სეზონში უკეთეს შედეგს მიაღწევს ჩემპიონთა ლიგაში. წინა სეზონში კი გეხსომებათ, მერვედფინალში „მილანს“ შეხვდნენ და ორი მატჩის ჯამში 2:5 წააგეს.

„გასულ სეზონში რომ გვყავდა, ახლა იმაზე ძლიერი გუნდი არ არის — განაცხადა „კაიზერ ფრანცმა“ — წავიდნენ ფეხბურთელები, რომელთა სრულფასოვანი შეცვლაც ძნელია. შარშან ქომაგები ბევრს მოითხოვდნენ ჩვენგან, ამჯერად კი რეალისტურად უნდა შევხედოთ ყველაფერს. მარკ ვან ბომელს გუნდში „ჩასაწერად“ დრო სჭირდება, ლუკაშ პოდოლსკი კი ჯერ დაღვინებული არაა“.

თუმცა ბეკენბაუერი დარწმუნებულია, რომ მომავალ კვირაში, ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში მოსკოვის „სპარტაკთან“ „ბაიერნი“ მოიგებს: „ლიგის მერვედფინალში თამაში თუ გსურს, „სპარტაკის“ დონის გუნდს აუცილებლად უნდა მოუგო.“

გიორგი დარჯანია



დუნგას ბევჯითი ბიჭები მოსწონს

აგე, მარსელო, შრომობს და იღიმის

ამხანაგური მატჩი

უელსი 0:2 ბრაზილია :

0:1 მარსელო (61), 0:2 ვაგნერ ლავი (74)

უელსი: ჯონსი, ბეილი (რიკეტსი 46), დაფი (ედუარდსი 64), გაბიდონი, ნიატანგა, კოლინზი, რობინსონი (ფლეტჩერი 53), დევისი (ვაგანი 68), გიგზი (ლელდი 46), ბელამი, ერნშოუ (კოტერილი 77)

მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი

ბრაზილია: გომესი, მაიკონი (სისიონიო 59), ალექსი, ლუიზაო, ედმილსონი (სილვა 46), მარსელო (ფილბერტო 74), სეარენსე, კაკა (ელანო 72), ჟულიო ბაპტისტა (რაფაელ სობისი 78), რონალდინიო (რობინიო 67), ვაგნერ ლავი

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

მსაჯი: რაილი (ინგლისი)

22 008 მაყურებელი

ვაგნერ ლავის გოლი ჯონსის კარში

„უაით ჰართ ლეინზე“ ბრაზილიამ უელსელებს 2:0 მოუგო და ეს დღე მარცხენა მცველისთვის, 18 წლის მარსელოსთვის გამოდგა განსაკუთრებით სასიხარულო — ჭაბუკმა ფეხბურთელმა პენტაკამპეონთა შემადგენლობაში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა და გოლიც გაიტანა.

უპირველესი, რაც ამ დღეს კაცს თვალში მოხვდებოდა ის იყო, რომ ბრაზილიელთა მწვრთნელმა დუნგამ იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ორი დღით ადრე „ემირატ სტედიუმზე“ არგენტინას 3:0 მოუგო, თითქმის აღარავინ გაიყვანა მოედანზე.

პირველი გოლი დუნგას ქვეშევრდომებმა 61-ე წუთზე გაიტანეს, როდესაც ხსენებულმა მარსელომ კაკასგან, საჯარიმოს კიდესთან პასი მიიღო და დაბალი დარტყმით ბურთი მეკარე ჰოლ ჯონსს კუთხეში შუგდო. 74-ე წუთზე ანგარიში ვაგნერ ლავმა გაზარდა. მოსკოვის ცსკა-ს თავდამსხმელმა შეცვლაზე შესული სისინიოს მიერ მარჯვნიდან ჩაკიდებულ ბურთს თავით მაღალ კუთხეში მიუჩინა ადგილი. გოლის გატანა შეეძლო რონალდინიოსაც. „ბარსელონას“ ვარსკვლავმა ზედ რობინიოთი შეცვლის წინ დაბზრიალებით დაარტყა, მაგრამ ოდნავ ააცილა. ამრიგად, როგორც მიხვდით, ბრაზილიელთა სასტარტო შემადგენლობაში თამაშობდნენ რონალდინიოცა და კაკაც, რომელთაგან პირველი, არგენტინელებთან შეხვედრაში ტრავმის გამო საერთოდ არ გამოჩენილა, მეორე კი შეცვლაზე შევიდა და ეგრეთწოდებული „სოლო გოლი“ გაიტანა. 69-ე წუთზე მარსელოს კიდევ შეეძლო ზუსტად ისეთივე გოლის გატანა, მაგრამ ამჯერად ჯონსმა აუღო.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ შეხვედრაში მონაწილე ორი მეკარიდან საბოლოოდ ჯონსი უფრო დაკავებული გამოდგა, თუმცა ნურც გომესს დავუკარგავთ დამსახურებას — ის რომ არა, პირველ ტაიმში უელსელთა კაპიტნის, რაიან გიგზის მოხდენილი პასით რობ ერნშოუ ნამდვილად გაიტანდა გოლს. შემდეგ, ისევ ჯონსმა იყოჩაღა: ბრაზილიელების ცენტრალურმა მცველმა ალექსმა ვერ გაუტანა, მოგერიებული კი ნახევარმცველ ედმილსონს მიუვიდა, თუმცა ედმილსონის დარტყმული ზუსტი ვერ გამოდგა.

პირველი ნახევრის მიწურულს იყო კიდევ მომენტი, როდესაც რონალდინიომ დაბალი პასი მიაწოდა ვაგნერ ლავს, მისი დარტყმული კი უელსელმა მცველმა დენი გაბიდონმა დაბლოკა, ხოლო ამის შემდეგ ყოჩაღმა ჯონსმა ჟულიო ბაპტისტას და კაკას აუღო.

ამ შეხვედრაში რამდენიმე სახიფათო მომენტი ჰქონდათ უელსელებსაც, რომელთაგან ერთი თავად ბრაზილიელმა მცველებმა მიართვეს — ალექსმა უკან უხერხული პასი გადააწოდა და კრეიგ ბელამიმ კინაღამ გაიტანა. ბრაზილიელების გასახარად მეკარე გომესმა ფეხი გაკრა ბურთს და კარისკენ მიმავალი გზიდან გადააცდინა.

ამ შეხვედრის შემდეგ 10 დაპირისპირებიდან ბრაზილიელებს უელსელებისთვის 8 აქვთ მოგებული. ვფიქრობთ, ძალთა თანაფარდობა ნათელია.

დუნგა: „თამაშმა, როგორც მინდორზე ისე მინდვრის მიღმა ბევრი რამ გვასწავლა. ფეხბურთელებს მოტივაცია არ აკლდათ და გუნდში ჩინებული ატმოსფერო სუფევდა. კმაყოფილი ვარ ბიჭების თამაშით. უელსმა სივრცეები ჩაკეტა და ცდილობდა ჩვენთვის გასაქანი არ მოეცა. ეს განსხვავებული იყო იმ შედარებით ღია ფეხბურთისგან, რომელიც არგენტინამ დაგვიპირისპირა. პრინციპში, ის რაც არგენტინამ ითამაშა, სანახავად უფრო ლამაზია. უელსი მეტ სიფრთხილეს იჩენდა“.

შემდეგ დუნგას მარსელოზე ჰკითხეს.

„როდესაც მარსელო ნაკრებში გამოვიძახე, ბევრს ძალიან გაუკვირდა, მაგრამ იმედი მაქვს მათ დღეს ნახეს თუ რა შეუძლია ან მოთამაშეს. ის პიროვნებაა და ეს ყოველ ვარჯიშსა და ყოველ თამაშში ჩანს. მარსელო სულ იღიმება, მაგრამ თავდადებულია“.

უელსის ნაკრების თავკაცი ჯონ ტოშაკი:

„90 წუთიდან დაახლოებით 60 კარგად ვითამაშეთ. თუ ჩემგან მაინცდამაინც კრიტიკულ გამონათქვამს ითხოვთ, გეტყვით, რომ ჩემი ბიჭებიდან ერთ-ორს თავისი წილი მომენტი უნდა გამოეყენებინა, მაგრამ მეტოქე ძალიან ძლიერი გუნდი იყო. მოკლედ, ჩვენი მთავარი პრობლემა, მაინც, ბურთის ბადეში შეგდება გამოდგა. მომენტს რომ ქმნი, უნდა გამოიყენო“.

ბაბუნა კვედია

კიჭა, ქვეყანაგან მიტოვებული

რონლადო-ლირი: აღარც ცოლი და აღარც სამშობლო

გასულ კვირაში, ბრაზილიელ ფორვარდ რონალდოსთვის ბევრი ცუდი რამ მოხდა. დავიწყოთ იმით, რომ როგორც ჩანს, „კიჭა“ მორიგმა შეყვარებულმა მიატოვა. 21 წლის მოდელ რაისა ოლივეირას დიდი ხანია, რონალდოს საცოლედ მოიხსენიებენ, მაგრამ გავრცელებული ცნობით, მათი ურთიერთობა დასრულდა. ოლივეირას „ფენომენისთვის“ ელექტრონული ფოსტით მიუწერია, ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდაო.

ესპანური „ასის“ ჟურნალისტმა ტომას გუაშმა კი რონალდოზე საინტერესო სტატია დაწერა. მისი ცნობით, არგენტინასთან ამხანაგური მატჩის წინ პენტაკამპეონთა ახალი მთავარი მწვრთნელი კარლოს დუნგა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდა და „კიჭაზეც“ ესაუბრა. მხარეები შეთანხმებულან, რონალდო ამიერიდან ნაკრებში აღარ გამოვიძახოთო.

„ფენომენს“ არც „რეალიდან“ წასვლა გამოუვიდა. იგი იტალიაში დაბრუნებაზე ფიქრობდა, მსურველებიც ჰყავდა — „მილანი“ და „ინტერი“, მაგრამ... ახლა რონალდო „სამეფო გუნდის“ მკაცრი თავკაცის, ფაბიო კაპელოს კლანჭებშია და თუ სათანადოდ არ ათამაშდა, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არ ასცდება. მადრიდელთა ექიმი მასიმო ნერი კი მას სამი კილოს დაკლებას აიძულებს. წონის მომატება „კიჭას“, შვებულებისა და სარეაბილიტაციო პერიოდისას მოუსწრია.

ამჟამად, რონალდო ისევ ნაოპერაციებ მუხლს მკურნალობს. გეგმის მიხედვით, მან ვარჯიში 13 სექტემბერს უნდა განაახლოს და თვის ბოლოს, „ატლეტიკოსთან“ დედაქალაქურ დერბიში თამაშსაც შეძლებს.

გიორგი კაკაბაძე

რიკელმე ჩემი პრობლემაა

ბრაზილიასთან 0:3 დამარცხებული არგენტინის ნაკრების თავკაცმა ალფიო ბაზილემ ხუან რომან რიკელმეს ვექილობა იკისრა მას შემდეგ, რაც ფეხბურთელი არგენტინულმა მედიამ ცუდი თამაშისთვის გააკრიტიკა.

„მე სრულად ვენდობი რიკელმეს — თქვა მწვრთნელმა — ეს ჩემი პრობლემაა. არ მაინტერესებს, რას ფიქრობს მედია, მთავარია, რომ მე მომწონს“.

ბუენოს-აირესის აეროპორტში ალფიო ბაზილემ, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ხოსე პეკერმანი შეცვალა, განაცხადა: „არც ის მადარდებს, რომ 0:3 წავაგეთ, ამ ანგარიშით ჩვენ რომ მოგვეგო, ამასაც არ მივანიჭებდი დიდ მნიშვნელობას. მთავარია, რომ ფეხბურთელები ვნახე საქმეში.“

ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ მწვრთნელს მხარი დაუჭირა: „ჩვენ გვყავს საუცხოო ბიჭები, ლიონელ მესი, სერხიო აგერო და კარლოს ტევესი. ალფიო ბაზილე კი მისი საქმის პროფესიონალია და მჯერა, ეს გუნდი ბევრ სიხარულს მოუტანს ქომაგებს, ოღონდ ბაზილეს ცოტა ხანს უნდა ვაცალოთ.“

გიორგი დარჯანია

იმდენს ვიღებ, რამდენიც მეკუთვნის

პარეირა აფრიკელებს ფულს არ უთვლის



სამხრეთ აფრიკის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ განაცხადა, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ეროვნული გუნდის გაძღოლა ძალიან ეამაყება, მაგრამ იმავდროულად ყველას აფრთხილებს, რომ დიდ ცვლილებებს აპირებს. შეგახსენებთ, რომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ოფიციალურად საქმეს იანვრიდან შეუდგება და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, სამხრეთ აფრიკაში დიდი მოთმინების გამოვლენა და მუხლჩაუხრელი შრომა მოუხდებათ.

„ჩემს წინაშე დგას დიდი ამოცანა, მე ქვეყნის ეროვნული გუნდი უნდა ჩამოვაყალიბო“ — განაცხადა პარეირამ იოჰანესბურგში, სადაც მცირე ხნით გახლდათ სამხრეთ აფრიკისა და კონგოს ნაკრებთა შესარჩევი თამაშის სანახავად ჩასული. ხსენებული შეხვედრა აფრიკის ერთა თასის შესარჩევი იყო და 0:0 დამთავრდა.

პარეირამ განაგრძო: „მე სამხრეთ აფრიკელ ფეხბურთელებში პოტენციალს ვხედავ და სწორი მომზადების შემთხვევაში გამარჯვების შანსი გვექნება, თუმცა ყველაფერზე მთავარი, მოთმინებაა. თავისთავად ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს უკვე დიდ გამარჯვებას ნიშნავს და ქვეყნის დიდებულ პორტრეტს ხატავს, მაგრამ კონკრეტულად ფეხბურთის თამაშიც ძალიან მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, როგორ წარადგენს თავის ქვეყანას ნაკრები და თან არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ კონტინენტსაც“.

შემდეგ პარეირამ, ორი თვის წინ დამთავრებული ჩემპიონატის მაგალითი გაიხსენა: „გერმანიამ მთელ მსოფლიოს დიდებული მაგალითი აჩვენა. მათ სტუმრებს, ორგანიზაციის უკლებლივ ყველა ასპექტში საუცხოო დახვედრა მოუწყვეს. ჩვენ 2010 წლისკენ მიმავალ გზაზე, ბუნებრივია, აღმასვლაც გვექნება და ჩავარდნებიც, მაგრამ მზერა ყველა შემთხვევაში დიდი მომავლისკენ უნდა გვეჭიროს.“

შემდეგ პარეირამ განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობის ზუსტი სურათის წარმოსადგენად ჯერ ხეირიანად არ მოუცლია, მაგრამ მუნდიალის მასპინძელ ქვეყანას, რომელიც შეჯიბრებაში შესარჩევი ეტაპის გარეშე ავტომატურად მოხვდება, ურჩევს დიდ წარმატებებზე იოცნებოს.

„ჩვენი მიზანი ჯგუფური ეტაპიდან გასვლა და მერე სულ წინ და წინ სვლა იქნება. აუცილებელია გამარჯვებულის მენტალიტეტის ჩამოყალიბება — თამამად განაცხადა პარეირამ — აუცილებელია ჩვენი ძალები ისეთ გუნდებთან ჭიდილში შევამოწმოთ, როგორებიც არიან ბრაზილია, გერმანია და ინგლისი“.

ბუნებრივია, პარეირას ხელფასზეც ჰკითხეს. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელის ჯამაგირი, 250 ათასი დოლარი თვეში, საქართველოსი არ იყოს, ბევრს აფრიკაში ყურს სჭრის.

„მე აქ ვარ, რათა სამხრეთ აფრიკის ნაკრების წვრთნის სიამოვნება მივიღო, ამიტომ პრობლემა არ მჭირდება. მინდა სამხრეთ აფრიკას დავეხმარო. მე აქ ფულისთვის არ ვარ. ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი აფრიკელი მასპინძლის ნაკრებს გავუძღვები, ჩემთვის გაცილებით მეტად სტიმულია, ვიდრე ხელფასი. ისე კი, მე ვიღებ იმდენს, რამდენსაც უნდა ვიღებდე და მეტსაც გეტყვით, ეს, მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელისთვის, მსოფლიოს უდიდესი ხელფასი კიდევ არ არის.“

პაპუნა კედია

ნებისმიერი დროშის ქვეშ

ლონდონის „არსენალის“ მეორე მეკარემ, იენს ლემანის ჩრდილში მყოფმა მანუელ ალმუნიამ განაცხადა, რომ სულ მალე გერმანელ კოლეგას ადგილს წაართმევს და... ეგებ ინგლისის ნაკრებშიც ითამაშოს.

29 წლის ალმუნია ლონდონურ კლუბში 2004-ში ვიგოს „სელტადან“ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება. სამაგიეროდ, ორ წელიწადში ინგლისის მოქალაქეობას მიიღებს და ფიფას წესებით, 21 წელს გადაცილებულ ფეხბურთელს, რომელსაც თავისი ქვეყნის ნაკრებში არ უთამაშია, უფლება აქვს, სხვა ქვეყნის ეროვნულ გუნდში ითამაშოს.

მანუელ ალმუნია მაინცდამაინც თავს არ დებს ესპანელობაზე და ამბობს, რომ „გაინგლისელების“ შემდეგ ინგლისის ნაკრებში მოხვედრას ეცდება, საამისოდ კი ჯერ ლემანი უნდა „გამოაძევოს“ „არსენალის“ ძირითადი შემადგენლობიდან.

„ვფიქრობ რომ, როგორც კი გუნდში პირველი მეკარე გავხდები, ესპანეთის ნაკრების მწვრთნელსაც გავახსენდები, მაგრამ ასე თუ არ მოხდა, ორ წელიწადში ინგლისის მოქალაქეობას მივიღებ და აქაურთა ეროვნულ გუნდში მოხვედრას ვეცდები. თუკი რომელიმე ნაკრები მიხმობს, დაუფიქრებლად წავალ, რადგან თავს მაინცდამაინც ესპანელად არ ვთვლი და ჩემთვის სულ ერთია, რომელი ქვეყნის დროშის ქვეშ ვითამაშებ.“

გიორგი დარჯანია

მიყვირე და მეჩხუბე

ტერიმ მაურინიუში გამზრდელი დაინახა

ჯონ ტერი ამბობს, რომ ინგლისის ნაკრების კაპიტნობისთვის აუცილებელი თვისებები მას ჟოზე მაურინიუმ გამოუმუშავა. როგორც ირკვევა, „ჩელსის“ მწვრთნელს გუნდის გასახდელში აყალმაყალის პროვოცირება ეხერხება და ამას იმიტომ აკეთებს, რომ კაპიტანს თავისი ბიჭების დაცვა აიძულოს — წრთობის სისტემა ჰქონია ამგვარი.

ეს ამბები ტერიმ ანგლისისა და მაკედონიის გუშინდელი თამაშის წინ მოყვა:

„ის, რომ გრძნობები ყოველთვის უნდა გამოვხატო და არასდროს არაფრის მეშინოდეს, სწორედ მაურინიუმ მასწავლა. იცით, რა მითხრა „ჩელსის“ კაპიტნად რომ დამნიშნა? ასე მითხრა, არასოდეს შეშინდე, ბიჭების დასაცავად უკან არ დაიხიო, ადექი და ჩემს წინააღმდეგაც კი თამამად გაილაშქრე, მიყვირე და მეჩხუბეო. მითხრა, რომ კაპიტნის ერთ-ერთი უმთავრესი საქმე სწორედ ეს არის. ბიჭები რომც არ იყვნენ მართალნი, ისინი შენი თანაგუნდელები არიან და ესე იგი ყველასგან უნდა დაიცვა. და მართლაც, ერთი-ორჯერ მართლა მომიწია ჟოზესგან ბიჭების დაცვა და რამდენჯერმე საკუთარი თავის დასაცავადაც მომიხდა კაცურად აღრიალება. დიახ, ჟოზეს ჩხუბი და დაპირისპირება უყვარს, მაგრამ მას უყვარს ერთიანობაც.

იმედი მაქვს, ინგლისის ნაკრებშიც იგივე იქნება. მინდა ნაკრებში ვითამაშო და მისი მაისურით ჯილდოები მოვიგო. „ჩელსიშიც“ ასეთივე წყურვილი მახრჩობს. ჩვენს კლუბს ხომ დიდი ხანი არაფერი მოეგო და ეს ყელში ბურთივით მქონდა გაჩხერილი. ვხედავდი, როგორ აღმართავდნენ ხოლმე სხვა გუნდები ჯილდოებს და შიგნიდან ცეცხლის ალი მედებოდა. ასეთი წვა აღარ მინდა ისევ ვიგრძნო. შეხედეთ ბოლო წლების „ლივერპულს“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხანგრძლივ ეპოქას. ეს გუნდები ხომ გამარჯვების სურვილით იხრჩობოდნენ. ინგლისის ნაკრები კი ნებისმიერი ფეხბურთელისთვის საოცნებო ადგილია და მისი მაისურით რომ თამაშობ, ბუნებრივია, ჯილდოები უნდა გწყუროდეს და გშიოდეს“.

პაპუნა კედია

დასუჭული თვალებით დანასული სიბელესი

თვეზე ცოტა მეტია, რაც რუუდ ვან ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა და უკვე „სამეფო კლუბთან“ ერთად ტიტულების მოგებაზე ფიქრობს. მას სჯერა, რომ „რეალისთვის“ ეს სეზონი წარმატებული გამოდგება, ხოლო თავად ბევრ გოლს გაიტანს. გარდა ამისა, ჰოლანდიელი აღფრთოვანებულია სიბელესით, ლეგენდარული მოედნით, სადაც მადრიდელები ტრადიციულად, გამარჯვებებს ზეიმობენ. ვან ნისტელროი მადრიდულ „ასს“ ახალ გარემოზე ესაუბრა

— რა იცით მადრიდზე? უკვე იყავით სიბელესზე?

— დიახ. ქალაქში უკვე გამასეირნეს და მისი ღირშესანიშნაობები მაჩვენეს. ბევრი რამ მომეწონა, მაგრამ როდესაც სიბელესთან მივედით, მითხრეს — რუუდ, ეს ჩვენი მთავარი ადგილია, სადაც შენ აუცილებლად უნდა დაბრუნდე. მერე სიბელესის ისტორიაზე და ტრადიციაზე მესაუბრნენ. მას მერე თვალებს რომ ვხუჭავ, იმ ადგილს ვხედავ და ეს დიდ მოტივაციას მაძლევს.

— რას იტყვით თქვენს ახალ კლუბზე? გავიგე, რომ გასახდელში სრული სიჩუმეა ხოლმე და ყველა თავისი საქმითაა დაკავებული.

— ეს ჭორები მეც წავიკითხე. თუმცა უკვე ერთი თვეა, რაც გუნდში ვარ და დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ გასახდელში ძალიან მეგობრული და მხიარული ატმოსფეროა.

— მადრიდის „რეალის“ ფორვარდობა დიდი პასუხისმგებლობაა...

— ხუთი წელი „მანჩესტერში“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იქ უფრო ძლიერი გავხდი. ასე რომ, ვფიქრობ, „რეალში“ სათამაშოდ მზად ვარ.

— რა იგრძენი, როდესაც „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გოლი გაიტანე?

— ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ორი გოლი გავიტანე, მაგრამ ბევრად მეტის გატანა მსურს.

— „ვილიარეალთან“ უგოლო ფრის შემდეგ „რეალის“ თამაშს ძალიან აკრიტიკებდნენ...

— კრიტიკა ნაადრევია, დრო უნდა მოგვცენ. ახალი მწვრთნელი, ახალი ფეხბურთელები და თამაშის ახალი სტილი გვაქვს ანუ ახალ გუნდს ვაწყობთ. ფაბიო კაპელომ თქვა, რომ სწორი გზით მივდივართ.

— თუმცა მადრიდელთა მთამინება უსაზღვრო არ არის, სამი წელია, ტიტულს ელოდებიან.

— კარგად გვესმის, რომ გულშემატკივრებს ტიტულები სურთ. ეს ჩვენი მთავარი მოტივაციაა, მაგრამ ყველაფერს გაგებით უნდა მოვეკიდოთ. ტიტულების მოგებისთვის ქომაგების გვერდზე დგომაა საჭირო და არა კრიტიკა ან ზეწოლა.

— კაპელო მართლაც ისეთი მომთხოვნია, როგორც ამბობენ?

— მას უყვარს ყველაფრის იდეალურ ვარიანტამდე დახვეწა და თავდაუზოგავი მუშაობა. იგი ძალიან გამოცდილი და მომთხოვნია. ეს ბუნებრივია. კაპელომ ყველა მოთამაშის პატივისცემა დაიმსახურა, რაც მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია. იგი ახალ გუნდს აშენებს და ჩვენი განწყობა ოპტიმისტურია.

— „რეალს“ შედეგზე თამაშში ადანაშაულებენ, სილამაზეზე და სანახაობაზე სულ არ ფიქრობენო...

— არ მესმის, როგორ შეიძლება ქომაგებმა მოიწყინონ, როცა მინდორზე ამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელს ერთად ხედავენ. ოქროს შუალედი უნდა ვიპოვოთ შედეგის მიღწევასა და სანახაობრივ თამაშს შორის, რაც გულშემატკივრებსაც გაახარებს და ჩვენც. თუმცა ამას გარკვეული დრო სჭირდება.

— ბევრს უნდა ვან ნისტელროი-რონალდოს წყვილის ხილვა...

— მეც მოუთმენლად ველოდები ამ მომენტს. რონალდო ტელევიზიით ბევრჯერ მინახავს, ახლა კი მის მხარდამხარ ვითამაშებ. ყოველდღე მისი ჯანმრთელობის ამბავს ვკითხულობ და ბოლოს და ბოლოს როდის შევძლებთ ერთად თამაშს-თქო ვეკითხები. თუმცა გუნდში მარტო ჩვენ არ ვართ. კაპელოს თავდასხმაში კიდევ არაერთი ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰყავს. მაგალითად, რაული, ხოსე ანტონიო რეიესი და რობინიო.

— კარიერაში შენს რომელ გოლს თვლი უმნიშვნელოვანესად?

— ყველა გოლი, რომელიც ერონული ნაკრების მაისურით გაგაქვს განსაკუთრებულია. ყველაზე მეტად კი ევრო 2004-ზე გერმანიის კარში შეგდებული ბურთი დამამახსოვრდა და არც არასდროს დამავიწყდება, 0:1-ს ვაგებდით და იმ დარტყმით 84-ე წუთზე ანგარიში გავათანაბრე. ძალიან მნიშვნელოვანი გოლი იყო.

— როგორ ფიქრობ, რამდენ გოლს გაიტან ამ სეზონში?

— არ მიყვარს პროგნოზების კეთება, მით უმეტეს, როცა საქმე გოლებს ეხება, მაგრამ ვეცდები ბევრი გავიტანო.

— რას ფიქრობ რეიესის ტრანსფერზე?

— მისი მოსვლა გამიხარდა. ვფიქრობ, რეიესისთვის ესპანეთში თამაში უმჯობესია. აქ იგი უფრო გაიხსნება. ინგლისში ისეთი მცველები არიან და რომ ცოტა უჭირდა, მაგრამ მაინც კარგად თამაშს ახერხებდა. ასე რომ, რეიესი „რეალს“ ნამდვილად გააძლიერებს.

— მინდორზე ყველაზე კარგად ვის უგებ?

— ანტონიო კასანოსთან და რაულთან თამაში ძალიან მსიამოვნებს. ისინი ჩინებული შემტევები არიან, რომლებიც ფორვარდებს საქმეს ერთიორად უადვილებენ. ორივე მათგანი ბრწყინვალედ ხედავს მოედანს და კარგად მოძრაობს. ასეთი ფეხბურთელები თავდამხმელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანნი არიან.

— დაბოლოს, თქვენ ისევ დევიდ ბექემთან ერთად ხართ...

— ბექემს ძალიან კარგად ვიცნობ და ადრე თუ გვიან ისევ ისეთი ბრწყინვალე წყვილი გავხდებით, როგორიც „მანჩესტერში“ ვიყავით. ამჟამად კი იგი ადაპტაციაში მეხმარება. დევიდის პლუსი ის არის, რომ იგი მრავალმხრივია, შეუძლია გრძელი ან მოკლე პასის გაკეთება, სახიფათოდ ჩაწოდება, ბურთის ჩახვევა და სხვა ბევრი რამ.

რვა თვე უსასტვენოდ



კალჩოპოლის სკანდალის კიდევ ერთი „მსხვერპლი“, მსაჯი ჯანლუკა პაპარესტა რვა თვე ველარ დაუსტვენს. ცნობილ იტალიელ მსაჯს პირველი განაჩენით სამთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საქმე ამით არ დამთავრებულა.

იტალიის მსაჯთა ასოციაციამ ცალკე განიხილა პაპარესტას ამბავი და სასჯელის ვადას კიდევ ხუთი თვით დაუმატა. განაჩენი ძალაშია 2006 წლის 20 ოქტომბრიდან 2007 წლის 19 ივნისამდე.

აქვე ვთქვათ, რომ კალჩოპოლის სასამართლოზე პროკურორმა მსაჯის ორი წლით მოკვეთა ითხოვა, რადგან პაპარესტას „მილანის“ ყოფილ ჩინოვნიკ ლეონარდო მეანისთან საეჭვო საუბარი ამოუქექეს.

მსაჯთა ასოციაციამ კი ხუთი თვე იმიტომ დაუმატა, რომ 2004 წლის ნოემბერში, „რეჯინა“ — „იუვენტუსის“ მატჩის შემდეგ „იუვეს“ გენდირექტორი ლუჩანო მოჯი მსაჯთა ოთახში ჯანლუკა პაპარესტას შეუვარდა და ეს ამბავი არბიტრმა პატაკში არ შეიტანა. იმ თამაშში „იუვეს“ არ ჩაუთვალეს გოლი, როცა ანგარიში 2:1 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. დასჯილი მსაჯი განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

ირაკლი ნინიძე

ბოთლი და ქვა ისჯება

უეფას გადაწყვეტილებით, თურქული „ტრაბზონსფორი“ 14 სექტემბერს უეფას თასის საშინაო მატჩს ესპანურ „ოსასუნასთან“ ცარიელ სტადიონზე გამართავს.

24 აგვისტოს უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „ტრაბზონმა“ კვიპროსულ „აპოელს“ საკუთარ კედლებში 1:0 სძლია, თუმცა მთელი შეხვედრის მანძილზე თურქი ქომაგები უწესოდ იქცეოდნენ. მაშხალებს, ქვებს, ბოთლებსა და სხვადასხვა ნივთებს ისროდნენ მეტოქე გუნდის ქომაგების მისამართით.

ეს აურზაური მატჩის შემდგომაც გაგრძელდა, და ოთხი კვიპროსელი დაშავდა. ბუნებრივია, ეს ინციდენტი უყურადღებოდ არ დარჩენილა. საერთოდ, პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც „ტრაბზონის“ ფანები ასე იქცევიან და უეფაც, მომავალში ამგვარი ფაქტების გამეორების შემთხვევაში, ბევრად უფრო მკაცრი სასჯელით იმუქრება.

ძოკი კანდელაკი

ფურცლისმჭამელი

20 წლის ედინბურგელმა სტუდენტმა სკოტ კემპბელმა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ იმ ფერების საჭმელს შეჭამს, მისი კლუბის დროშას და სამოსს რომ შეესაბამება.

საჭმელი მხოლოდ მწვანე და თეთრი იქნება.

ანუ კემპბელი „სელტიკის“ ქომაგია და რაციონად, ძირითადად, სალათის ფურცლები და ხაჭოლა აქვს.

თუმცა, შეუძლია, მწვანე ვაშლი და ბანანიც მიირთვას, თუ მათი შიგთავსის სითეთრეში დარწმუნდება და ზედ რძეც დააყოლოს. შესაძლებელი ყოფილა თევზისა და ქათმის ფილეს ჭამაც, თუკი ისინი „სელტიკური“ სითეთრისა გამოდგება.

ირაკლი გამყრელიძე

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		9 სექტემბერი						
15:45	1	ევერტონი-ლიეერპული	3.70	3.20	1.95	1.71	1.27	1.21
18:00	2	არსენალი-მიდლსბრო	1.30	4.40	10.00	1.00	1.15	3.05
18:00	4	ბოლტონი-უოტფორდი	1.70	3.40	4.80	1.13	1.25	1.99
18:00	5	ჩელსი-ნარლტონი	1.15	6.60	15.00	1.00	1.06	4.58
18:00	7	პორტსმუთი-უიგანი	1.85	3.30	4.10	1.18	1.27	1.82
18:00	8	ნიუკასლი-ფულემი	1.75	3.50	4.30	1.16	1.24	1.92
18:00	9	შეფილდი-ბლეკბერნი	2.60	3.20	2.55	1.43	1.28	1.41
20:15	10	მანჩესტერი-ტოტენჰემი	1.55	3.60	6.00	1.08	1.23	2.25
		10 სექტემბერი						
19:00	12	ვესტ ჰემი-ასტონ ვილა	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		11 სექტემბერი						
23:00	13	რედინგი-სიტი	2.30	3.20	2.90	1.33	1.28	1.52
		ინგლისი. ჩემპიონატი						
		9 სექტემბერი						
18:00	14	ბარნსლი-სტოკი	2.25	3.20	2.90	1.32	1.26	1.52
18:00	15	ბირმინგემი-პალი	1.50	3.40	6.80	1.04	1.22	2.26
18:00	16	ბარნლი-კოლჩესტერი	1.70	3.40	4.40	1.13	1.22	1.91
18:00	17	ქოვენთრი-ნორჩინი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
18:00	18	დერბი-სანდერლენდი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
18:00	20	იფსვიჩი-საუთემპტონი	2.55	3.10	2.55	1.39	1.27	1.39
18:00	21	ლუტონი-კრისტალ პალასი	2.40	3.20	2.70	1.37	1.27	1.46
18:00	22	ჰლიმუთი-ქარ	1.85	3.20	3.90	1,17	1.25	1.75
18:00	23	პრესტონი-კარდიფი	2.30	3.20	2.80	1.33	1.26	1.49
18:00	24	საუთენდი-ულსდი	2.05	3.20	3.30	1.24	1.26	1.62
18:00	25	ვესტ ბრომიჩი-ლესტერი	1.72	3.30	4.50	1.13	1.24	1.90
		10 სექტემბერი						
16:15	19	ლიდსი-ვულვერჰემპტონი	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
		ინგლისი. I ლიგა						
		8 სექტემბერი						
22:45	26	ტრანმერი-ბრისტოლი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		9 სექტემბერი						
18:00	27	კარლაილი-ნორთჰემპტონი	1.83	3.30	3.75	1.17	1.22	1.75
18:00	28	ჩესტერფილდი-როტერჰემი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	29	პორტ ვეილი-ბლეკპული	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
18:00	30	დონკასტერი-ჯილინგემი	1.75	3.20	4.30	1.13	1.24	1.83
18:00	31	ლეიტონი-ბრენტფორდი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	32	მილუოლი-ბრაიტონი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
18:00	33	ოლდჰემი-სკანთორპი	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
18:00	34	ბორნმუთი-ქრიუ	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
18:00	35	ჩელტენემი-ჰადერსფილდი	2.40	3.10	2.65	1.35	1.25	1.42
18:00	36	სუინსი-ბრედფორდი	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
18:00	37	იოვილი-ნოტინგემი	3.00	3.20	2.10	1.54	1.23	1.26
		ინგლისი. II ლიგა						
		9 სექტემბერი						
18:00	38	ბოსტონი-სტოკპორტი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
18:00	39	ბერი-ტორკი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
18:00	40	ნოტსი-ატრინგტონი	1.85	3.20	3.75	1.17	1.23	1.72
18:00	41	შრიუსბერი-ლინოლნი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	42	უიკომბი-ხესტერი	1.70	3.30	4.50	1.12	1.23	1.90
18:00	43	გრიმსბი-უოლსოლი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40
18:00	44	მაკლესფილდი-ბარნეტი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	45	მენსფილდი-პერეფორდი	2.15	3.20	2.90	1.28	1.23	1.52
18:00	46	დონსი-პარტლეუელი	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
18:00	47	რიუერსი-რიჩმენდი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
18:00	48	პიტერბორო-დარლინგტონი	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
18:00	49	რუტლენდი-სუინდონი	2.70	3.20	2.30	1.46	1.24	1.33
		ინგლისი. კონფერენსი						
		9 სექტემბერი						
18:00	50	ბარტონი-ვეიმუთი	2.25	3.20	2.75	1.32	1.23	1.47
18:00	51	ექსეტერი-ალდერშოტი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
18:00	52	გრეისი-საუთპორტი	1.55	3.50	5.30	1.07	1.19	2.10
18:00	53	უოკინგი-დაგ ენდ რედი	2.25	3.30	2.70	1.33	1.22	1.48
18:00	54	ქრიუელი-იორკი	2.50	3.30	2.45	1.42	1.23	1.40
18:00	55	ფორესტ გრინი-კემბრიჯი	2.20	3.30	2.80	1.32	1.23	1.51
18:00	56	პალიფაქსი-გრეიუსენდი	2.00	3.30	3.10	1.24	1.21	1.59
18:00	57	სტიუენეიჯი-სტ.რეინჯერსი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
18:00	58	კიდერმინსტერი-ტეფუორთი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
18:00	59	მორეკომბი-ოქსფორდი	2.55	3.20	2.40	1.41	1.23	1.37
18:00	60	ნორთვიჩი-სტ.ალბანსი	2.00	3.30	3.20	1.24	1.23	1.62
18:00	61	რაშდენი -ალტრინჩემი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		9 სექტემბერი						
15:30	62	აბერდინი-სელტიკი	6.00	3.70	1.50	2.28	1.20	1.06
17:00	63	დანდი იუნაიტედი-პიბერნიანი	2.65	3.10	2.45	1.42	1.27	1.36
18:00	64	პართსი-სტ.მირენი	1.35	4.20	8.00	1.02	1.15	2.75
18:00	66	რეინჯერსი-ფოლკირკი	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
18:00	67	დანფერმლაინი-კილმარნოკი	2.80	3.20	2.30	1.49	1.26	1.33
18:00	68	მაზერუელი-ინვერნესი	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	69	პარტიკი-სტ.ჯონსტონი	2.60	3.20	2.35	1.43	1.23	1.35
18:00	70	როსი-ქუინი	1.80	3.40	3.70	1.17	1.21	1.77
18:00	71	გრეტნა-დანდი	1.30	4.20	8.00	1.00	1.11	2.75
18:00	72	პაბილტონი-კლაიდი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
18:00	73	ლივინგსტონი-ერდრი	1.50	3.70	5.50	1.06	1.17	2.21
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	74	ეარი-პიტერჰედი	2.00	3.30	3.00	1.24	1.20	1.57
18:00	75	ბრეჩინი-ალლოა	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
18:00	76	სტირლინგი-ფორფარი	1.70	3.50	4.20	1.14	1.21	1.90
18:00	77	კოუდენბით-მორტონი	2.65	3.30	2.30	1.46	1.23	1.35
18:00	78	სტრანრარი-რეითი	1.75	3.50	3.90	1.16	1.20	1.84
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
18:00	79	არბროთი-ალბიონი	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
18:00	80	ბერიკი-ისტ სტირლინგი	1.35	4.30	6.50	1.02	1.11	2.58
18:00	81	ელგინი-დუმბარტონი	2.85	3.40	2.10	1.55	1.20	1.29
18:00	82	მონტროზი-ისტ ფაიფი	2.85	3.30	2.10	1.52	1.20	1.28
18:00	83	სტენჰაუსმური-ქუინზ პარკი	1.60	3.60	4.30	1.10	1.16	1.95
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		9 სექტემბერი						
20:30	94	ალტახი-აუსტრია	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
20:30	95	რიდი-გრაცერი	2.50	3.00	2.65	1.36	1.28	1.40
20:30	97	ტიროლი-მატერსბურგი	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
20:30	100	შტურმი-პაშინგი	2.35	3.00	2.85	1.31	1.28	1.46
		10 სექტემბერი						
17:30	98	რაპიდი-ზალცბურგი	3.20	3.00	2.20	1.54	1.30	1.26
		ავსტრია. I დივიზიონი						
		8 სექტემბერი						
21:00	101	კაფენბერგი-პარტენბერგი	2.20	3.20	2.75	1.30	1.22	1.47
21:00	102	შვანენშტადტი-კერნტენი	2.20	3.10	2.90	1.28	1.25	1.49
21:00	103	გრაფენორნი-ლინცერი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
21:00	104	ლუსტენაუ-აუსტრია(ლ)	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
21:00	105	აღმირა-ლეობენი	2.70	3.00	2.40	1.42	1.27	1.33
21:00	106	აუსტრია(მ)-პარნდორფი	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		9 სექტემბერი						
19:45	107	გრასჰოპერი-აარაუ	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
19:45	108	შაფჰაუზენი-იანგ ბოიზი	3.80	3.20	1.85	1.73	1.24	1.17
		10 სექტემბერი						
18:00	109	ბაზელი-ციურიხი	2.20	3.10	3.10	1.28	1.28	1.54
18:00	110	სტ.გალენი-ლუცერნი	1.55	3.60	5.50	1.08	1.20	2.17
18:00	111	თუნი-ხიონი	2.60	3.10	2.50	1.41	1.27	1.38
		იტალია. სერია A						
		9 სექტემბერი						
20:00	464	რიმინი-ლივორნო	1.50	3.50	7.00	1.04	1.23	2.33
22:30	465	ფიორენტინა-ინტერი	2.90	3.00	2.40	1.47	1.31	1.33
		10 სექტემბერი						
22:30	466	ტორინო-პარმა	2.00	3.20	3.50	1.23	1.27	1.67
17:00	467	სამპდორია-ემპოლი	1.60	3.30	6.00	1.07	1.26	2.12
17:00	468	პალერმო-რეგინა	1.45	3.70	7.50	1.04	1.21	2.47
17:00	469	მილანი-ლაციო	1.40	3.70	8.00	1.01	1.19	2.52
17:00	470	მესინა-უდინეზე	2.90	2.90	2.50	1.45	1.34	1.34
17:00	471	კიეტი-ხიენა	1.80	3.10	4.70	1.13	1.30	1.86
17:00	472	კალიარი-კატანია	1.75	3.00	5.20	1.10	1.30	1.90
17:00	473	ატალანტა-ასკოლი	1.90	2.90	4.50	1.14	1.33	1.76
		იტალია. სერია B						
		8 სექტემბერი						
22:45	552	არეკო-მანტოვა	2.30	2.80	3.10	1.26	1.32	1.47
		9 სექტემბერი						
17:00	553	ბრეშა-პიაჩენცა	1.80	3.00	4.40	1.12	1.27	1.78
17:00	554	კრიტონე-ბარი	2.15	2.80	3.20	1.21	1.28	1.49
17:00	555	ლუნე-ალბინოლეფე	1.60	3.30	5.00	1.07	1.21	1.98
17:00	556	მოდენა-ვერონა	1.70	3.00	5.00	1.08	1.26	1.87
17:00	557	ნაპოლი-ტრევიზო	1.60	3.10	6.00	1.05	1.26	2.04
17:00	558	პესკარა-ბოლონია	2.80	2.80	2.50	1.39	1.32	1.32
17:00	559	რიმინი-იუვენტუსი	7.00	3.80	1.40	2.46	1.16	1.02
17:00	560	ტრიესტინა-ფრიზინონე	1.75	3.00	4.70	1.10	1.27	1.83
17:00	561	ვიჩენცა-ჯენოა	2.95	2.80	2.40	1.43	1.32	1.29
		11 სექტემბერი						
22:45	562	სპეცია-ხეზენა	2.35	2.80	2.95	1.27	1.30	1.43
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
23:45	121	ატლეტიკო-ვალენსია	2.40	2.90	3.00	1.31	1.33	1.47
22:00	123	ბარსელონა-ოსასუნა	1.25	5.00	9.00	1.00	1.09	3.21
		10 სექტემბერი						
21:00	122	ვილიარეალი-ეფელვა	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
21:00	125	ბეტისი-ბილბაო	2.00	3.10	3.70	1.21	1.29	1.68
21:00	126	ხოსიდადი-სევილია	2.95	3.10	2.30	1.51	1.29	1.32
23:00	127	სარაგოსა-ესპანიოლი	1.80	3.20	4.40	1.15	1.27	1.85
21:00	128	ხეტაფე-რასინგი	1.75	3.30	4.40	1.14	1.25	1.88
21:00	129	ტარაგონა-ხეტეა	2.70	3.00	2.55	1.42	1.31	1.37
21:00	130	ლევანტე-რეალი	6.50	3.60	1.50	2.31	1.21	1.05
21:00	131	მალიორკა-დეპორტივო	2.60	3.00	2.65	1.39	1.31	1.40
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		9 სექტემბერი						
20:30	132	ეხიდო-სერესი	2.55	2.90	2.70	1.35	1.31	1.39
20:30	134	ალავესი-რეალი(მ)	1.70	3.20	4.55	1.11	1.23	1.87
21:30	136	ლას პალმასი-ლორკა	2.55	2.80	2.75	1.33	1.32	1.38
21:00	137	ალბასეტე-მალაგა	2.40	2.80	2.90	1.29	1.31	1.42
21:00	139	კასტელონი-ტენერიფე	2.10	2.90	3.40	1.21	1.29	1.56
20:30	140	ხიუდადი-ვალიადოლიდი	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		10 სექტემბერი						
21:30	133	სალამანკა-ალმერია	2.45	2.80	2.85	1.30	1.31	1.41
20:00	135	სპორტინგი-პინეიროდინა	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
14:00	138

US OPEN 2006 ამერიკის ღია ჩემპიონატი 2006. ჰარდი. საპრიზო 14 769 000 $ US OPEN 2006

სტატისტიკოსი, რომელსაც მეხსიერება ღალატობს

ელენა იანკოვიჩი: ცხოვრება მარტო ფორჰენდი და ბექჰენდი არ არის

9, 6, 4 ანუ გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ნიკოლ ვაიდიშოვა, სვეტლანა კუზნეცოვა და ელენა დემენტიევა — ასეთია სერბი ელენა იანკოვიჩის მონაგარი წლევანდელ აშშ-ს ღია პირველობაზე.

წლეულს წვიმა-თქეშმა ნიუ იორკი ლონდონს დაამსგავსა და ცალკე მაყურებელი გააწვალა, ცალკე კი ორგანიზატორები აზარალა. ამინდმა გუშინაც არ აცალა ჩოგბურთელებს თამაში, მაგრამ ერთი შეხვედრის დასრულება კი მოესწრო. მიუხედავად მცირე დროისა, იანკოვიჩმა მოახერხა, მესამე სენსაციის ავტორობას მოაწერა ხელი და კარიერაში პირველად, სლემტურნირის ნახევარფინალსაც უწია.

ქვემორე ინტერვიუში იანკოვიჩი თავის ემოციებს გვიზიარებს და სხვა საინტერესო თემებზეც საკმაოდ გულახდილად საუბრობს

AFP ნიუ იორკიდან

— რას გრძნობდით თამაშის დროს?

— დანამდვილებით ერთის თქმა შემიძლია — არ ვნერვიულობდი. ყოველთვის ვცდილობ ხოლმე ნერვებს არ ავყვე. სამაგიეროდ, ჩემი მიღწევით ახლა ვარ აღფრთოვანებული, სლემტურნირის ნახევარფინალში ხომ პირველად ვითამაშებ.

— დღეს თითქოს საკუთარი მოწოდების დროს პრობლემები გქონდათ...

— კი ასე იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ დღეს ცოტა სუსტად ვიყავი. ამიტომაც ვთვლი, რომ მაგრად გამიმართლა. არადა, კორტზე განსაკუთრებული არაფერი გამომდიოდა და მაინც გავიმარჯვე. მაგარი იღბლიანი ვარ.

— თამაშის წინ რომ ეთქვათ, დემენტიევა მხოლოდ სამ გეიმს მოიგებს და არც ერთს თავის მოწოდებაზაო, დაუჯერებდით?

— რა თქმა უნდა, არა. რომ ეთქვათ, ორ სეტში მოიგებო, იმასაც გიჟად ჩავთვლიდი. ანგარიში კი აღარ მახსოვს, როგორ მორჩა...

— 6:2 6:1.

— ღმერთო ჩემო, ახლაც არ მჯერა ამის. ეს მართლაც ფანტასტიკაა. მით უმეტეს, რომ კარგად მახსოვს ჩვენი ერთი თვის წინანდელი შეხვედრა ლოს ანჯელესში. მაშინ მესამე სეტში მომიგო 6:4. თამაში კი ორსაათნახევარი გაგრძელდა. დღეს კი ნაღდ ჯახს ველოდი და... ეს მოხდა. არც კი ვიცი როგორ ავხსნა.

— ავსტრალიაში წლეულს მეორე წრეში გახვედით, როლან გაროსზე — მესამეში, უიმბლდონზე კი ვინუსს მოუგეთ...

— და თან მეოთხე წრეში გავედი, ასეთი აღმავალი პროგრესია კი გამომივიდა. ამის ახსნაც გამიჭირდება, მაგრამ იმას გეტყვით, რომ ჩემს ნიჭში ეჭვი არ მეპარება, ახლა მოტივაციაც სათანადო მაქვს და გამარჯვებებიც მწყურია. კორტზე ყოველი გასვლით ბედნიერი ვარ, ამიტომ ნებისმიერი ბურთისთვის ბოლომდე ვიბრძვი და ასეც გავაგრძელებ.

— თავდაჯერება მოგემატათ?

— ამაში ეჭვი გეპარებათ? მე ხომ ზეათეულის სამ წარმომადგენელს მოვუგე და თავისთავად უფრო მეტად ვირწმუნე საკუთარი ძალების.

— წარსულზე საუბარი არ გიყვართ, მაგრამ როგორ გაიხსენებდით იმ პერიოდს, როცა ზედიზედ 9 შეხვედრა წააგეთ?

— ეს კოშმარი იყო. ისე, ასეთი მომენტები გარდაუვალია. მთელ ცხოვრებას ტკბილად ვერ გალევ. მეც ძალიან რთული პერიოდი მედგა, თუმც ასეთი პერიოდების გადალახვა ნებისმიერს აძლიერებს პიროვნულად.

— მაინც რა მოხდა მაშინ?

— ყველაფერი ვირუსით დაიწყო. გამოჯანმრთელებას ორთვენახევარი მოვანდომე. შემდეგ კი თამაში არ შემეძლო. უბრალოდ, ფიზიკურად არ ვიყავი მზად. თამაშის სურვილი არ მქონდა, თითქოს სულ დაღლილი ვიყავი. კორტზე მხოლოდ ვალის მოსახდელად გავდიოდი და ჩოგბურთს კინაღამ საერთოდ თავი დავანებე. თანაც უნივერსიტეტში სწავლა დავიწყე და კინაღამ მართლა წავედი.

ახლა მეორე კურსზე ვარ. კარგადაც ვსწავლობ და თამაშიც გამომდის. მოკლედ, ჩემი ბალანსი ვიპოვე.

— სერიოზულად ფიქრობდით ჩოგბურთიდან წასვლას?

— დიახ. მე ძალიან აზარტული პიროვნება ვარ და წაგებას სასტიკად ვერ ვიტან. როცა მატჩის მატჩზე წაგება დავიწყე, თავისთავად ვიფიქრე, რომ შევშვედბოდი იმ საქმეს, რომელიც არ გამომდიოდა. ვთვლი, რომ თუ უმაღლეს დონეზე თამაში და საუკეთესო ჩოგბურთელებთან ჭიდილი არ შეგიძლია, ჩოგბურთს თავი უნდა დაანებო. მე ხომ პირველი ვიყავი იუნიორებს შორის, აქ კი არაფერი გამომდიოდა და ამიტომაც მინდოდა წასვლა.

— უკეთესობისკენ როდიდან შეიცვალა სიტუაცია?

— რომიდან. ნელ-ნელა მოვუმატე და ავთამაშდი. თან იქ დედაჩემი ჩამოვიდა. არადა, მანამდე არსად წამომყოლია. ეს ძალიან დამეხმარა საკუთარი თამაშის პოვნაში. იქიდან მოყოლებული 40 მატჩი ჩავატარე და 30-მდე მოვიგე. ეს მართლაც საოცრებაა.

— დედა რანაირად გამხნევებდათ? გირჩევდათ, რომ თავი არ დაგენებებინათ თამაშისთვის?

— კი, ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჩემი სჯეროდა. ისე, არა მარტო დედაჩემი, არამედ მთელი ოჯახი ძალიან დამეხმარა. ისინი რომ არა, იმ პერიოდს ვერ გადავიტანდი.

— უნივერსისტეტში რას სწავლობთ?

— ეკონომიკასა და სტატისტიკას. დამეთანხმეთ, არცთუ იოლი საგნებია.

— იქნებ ამიტომაც აგებდით?

— არა, ეგ რა შუაშია. ახლაც ხომ ვსწავლობ, მაგრამ თამაშში ხელს არ მიშლის. მართალია, ახლა ბევრ დროს ვეღარ ვუთმობ სწავლას, თუმც მაინც ვცდილობ, რომ პროგრამას არ ჩამოვრჩე. სწავლას სერიოზულად ვუდგები. არ მინდა, ტიპური ჩოგბურთელი ვიყო, რომელმაც მარტო ფორჰენდისა თუ ბექჰენდის დარტყმა იცის. კარიერა საკმაოდ ხანმოკლეა, ცხოვრება კი ამის შემდეგაც გრძელდება. ამიტომ სწავლა აუცილებლად მიმაჩნია.

— ბრადენტონის აკადემიაში თქვენთან ერთად ბევრი ჩოგბურთელი სწავლობდა. თუნდაც მარია შარაპოვა...

— დიახ, მაშინ მართლაც ძლიერი შემადგენლობა შევიკრიბეთ. ისე, მარიას გარდა იქ ტატიანა გოლოვინიცა და ჯამეა ჯექსონიც იყვნენ. სხვები აღარ მახსენდებიან.

— დემენტიევას მოწოდებაზე ვისაუბროთ. თქვენ მისი ყველა მოწოდება მოიგეთ. ასე ადვილია მასთან გამკლავება?

— არა და არა. ლენა სუსტად, მაგრამ ძალიან ჩახვეულად აწვდის, რის გამოც მის წინააღმდეგ თამაში ძნელია. პირადად მე სერენას 200 კმ/სთ-იან მოწოდებას უფრო ადვილად ვუმკლავდები, ვიდრე დემენტიევას 130 კმ/სთ-იან ჩამოწოდებულს, მაგრამ დღეს ადვილად გამომდიოდა მიღებაზე თამაში, რამაც მეტოქე ძალიან დააბნია და ჩემი წარმატების ერთ-ერთ მიზეზადაც იქცა.

— მანამდე კიდევ თუ მომხდარა, რომ მეტოქის ყველა მოწოდება მოგეგოთ?

— მიჭირს გახსნება. ეგ კი არა, თქვენ რომ არ გეთქვათ, ისიც არ მეცოდინებოდა, რომ დღეს ასე მოვიგე.

— ეკონომიკას და სტატისტიკას სწავლობთ — მაინც რა პროფესიას აირჩევთ?

— ჯერ არ გადამიწყვეტია. ახლა მხოლოდ შესავალს ვსწავლობ, სპეციალიზაცია კი მესამე კურსიდან დაიწყება. ასე რომ, დაფიქრება მომიწევს, რადგან აჩქარება არ მინდა..

ფოტო ალექსანდრ ბელოუსოვის

მაკა ჩახნაშვილი მესტრეში მეექვსე ნომრად განთესეს

დაბრუნება ძნელია

ლაბაძემ დიუსელდორფში გამარჯობა მოასწრო

დიდი ხნის უთამაშებლობა აშკარად დაეტყო ირაკლი ლაბაძეს. პოლონელებთან სადევისთასო მატჩს თუ არ ჩავთვლით, უიმბლდონის შემდეგ ირაკლი უქმად იყო, ტრავმებს იშუშებდა და ახლალა გამოჩნდა კორტზე, თუმც დაბრუნება წარუმატებელი გამოუვიდა.

გერმანულ დიუსელდორფში 25 ათასიანი ჩელენჯერი ტარდება და ლაბაძე პირველივე წრეში დამარცხდა უცნობ ხორვატ ტომისლავ პერიჩთან. პირველ სეტში თანაბარი ბრძოლა იყო, საქმე ტაი-ბრეიკზე მიდგა და იქ კი ქართველს შანსი არ ჰქონია — პერიჩმა საჩოგბურთო პენალტები 7:1 მოიგო და ამის შემდეგ თამაში ცალკორტა გახდა. სათამაშო პრაქტიკას მოკლებულმა ირაკლიმ მეორე სეტში ერთი გეიმიც კი ვერ აართვა მეტოქეს და 6:7 0:6 დამარცხდა.

იტალიურ მესტრეში კი, სადაც **ITF**-ის ეგიდით 50 ათასიანი ტურნირი ტარდება, მონწილეთა წინასწარ გაცხადებულ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა, რამდენიმე მაღალრეიტინგიანმა ჩოგბურთელმა თამაშზე უარი განაცხადა და შედეგად, საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი მე-6 ნომრად იქნა განთესილი.

კერძოდ, მესტრეში თამაშზე ბოლო მომენტში უარი თქვეს **WTA**-ს კლასიფიკაციის 53-ე და 96-ე ნომრებმა, იტალიელმა მარიაელენა კამერინიმა და უკრაინელმა იულია ბეიგელზიმერმა. რაც შეეხება განთესილთა სიას, ის ისე გამოიყურება: 1. სედინა გალოვიცი (კლასიფიკაციის 122-ე ნომერი, რუმინეთი), 2. კირა ნაგი (126, უნგრეთი), 3. სანდრა კლოზელი (130, გერმანია), 4. არანჩა პარა-სანტონია (149, ესპანეთი), 5. კარინ ნაპი (158, იტალია), 6. მაკა ჩახნაშვილი (175, საქართველო), 7 ივანა აბრამოვიჩი (184, ხორვატია), 8. სანდრა ზაჰლავოვა (195, ჩეხეთი).

პირველ წრეში მაკას მეტოქე 21 წლისა და რეტინგში 309-ე ადგილზე მყოფი ბრაზილიელი ლარისა კარვალიო იქნება, ხოლო თუ ამ ბარიერს დაძლევს, მეორე ეტაპზე ჩახნაშვილი 25 წლის უნგრელ ზოფია გუბასკის შეხვდება, ვინც კლასიფიკაციის 235-ე ნომერია და მესტრეში უკვე მოასწრო ერთი შეხვედრის მოგება — იტალიელ სონია იაშოვაცს 6:0 6:1 სძლია.

მაკა მესტრეში წყვილთა შორისაც თამაშობს გერმანელ ტატიანა მალეკთან ერთად და ამ დუეტმა პირველ წრეში ასევე ინტერნაციონალური, ჩეხი პეტრა ცეტკოვსკასა და ესპანელი არანჩა პარა-სანტონიას წყვილი 6:3 6:4 დაამარცხა.

გია მუჯირი

ელენას ქართველები ეპმა

მოსკოველი გვაქებს, ესტონელი გრანტს გვპირდება



ბადრი კეთილაძის ფოტო

ალექსანდრე და ირაკლი ბართაიები

ამ ათიოდე დღის წინათ კუალა ლუმპურში დასრულებული ახალგაზრდა (19 წლამდე) წყალში მხტომელთა მსოფლიოს პირველობაზე, მანამდე კი ევროპის ჩემპიონატზეც ჩვენი სპორტსმენების გამოსვლის თაობაზე როცა ვიუწყებოდით, იმასაც ვწერდით, რომ მათში სამომავლო პერსპექტივა უფრო დავინახეთ. თბილისელი წყალში მხტომელები — შოთა კორახაშვილი, ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი ამ შეჯიბრებებზე არა მხოლოდ ყველაზე უმცროსი ასაკით იყვნენ გამორჩეულნი, არამედ მზარდი ოსტატობითა და გამორჩეულად ლამაზი ნახტომებითაც

ეს ყოველივე ამ სახეობის სპეციალისტებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ, მათ შორის „სპორტ ექსპრესის“ კორესპონდენტ ელენა ვოიცეხოვსკაიას, რომელიც კუალა ლუმპურში აკრედიტებული ჟურნალისტი იყო და თავისი გაზეთის ფურცლებზე ჩვენი გუნდის გამოსვლის თაობაზე საქებარი სიტყვები არ დაიშურა. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ ელენა ვოიცეხოვსკაია უბრალოდ ჩვენი კოლეგა კი არა, საქვეყნოდ ცნობილი ვეტერანი წყალში მხტომელი და ოლიმპიური ჩემპიონი გახლავთ, თანაც ფინას პრესატაშე ვოიცეხოვსკაიამ არ დაიზარა და მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის თაობაზე თავისი კომენტარები „სპორტ ექსპრესის“ გარდა ფინას ვებგვერდზეც გამოაქვეყნა. ამასთან, იგი ამ კომენტარებს სწორედ ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით იწყებს.

„ზოგი კუალა ლუმპურის მსოფლიოს ჩემპიონატში უბრალოდ მონაწილეობითაც კმაყოფილი იყო“ — წერს ელენა ვოიცეხოვსკაია — „თუმცა გაიზარდა იმათი რაოდენობა, რომლებმაც მართალია, მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ კარგი ნახტომებითა და პროგრესით დაგვამახსოვრეს თავი. მაგალითად, ასეთი იყო საქართველოს გუნდი. მისმა ერთ-ერთმა წევრმა შოთა კორახაშვილმა, რომელიც „ბ“ ჯგუფში, 16-წლამდელთა შეჯიბრებაში მეტოქეებზე ახალგაზრდა იყო, მეტრიან ტრამპლინზე მეთერთმეტე ადგილი დაიკავა, მაგრამ ლამაზი ნახტომებითაც დაგვამახსოვრა თავი. კორახაშვილი ყურადღებას იპყრობს ნატიფი და ფეთქებადი სტილით, ლამაზი მოძრაობით, თანაც რთული ნახტომების შესრულების უნარიც აქვს.

თბილისელები — ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანია სინქრონულ ხტომაში 19-წლამდელთა შეჯიბრებაში ყველაზე ახალგაზრდები კი იყვნენ, მაგრამ მერვე ადგილი მაინც დაიკავეს. და ეს მაშინ, როცა მათ ქვეყანაში ზამთრის საცურაო აუზი მხოლოდ 2004 წლის დეკემბერში გაიხსნა“...

ელენა ვოიცეხოვსკაია სხვა შემთხვევაში იხსენებს საქართველოს წყალში მხტომელთა იმდროინდელ ტრადიციას, რომელიც მისი აქტიური სპორტსმენობისას იყო და შემდგომ უფრო გამდიდრდა, მერე კი ერთხანს ყოველივე დავიწყებას მიეცა.

მართალია, ჩვენმა წყალში მხტომელებმა ვერც წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე მოიპოვეს მედლები, მაგრამ მათი ბოლოდროინდელი პროგრესი იქაც აღნიშნეს.

ამ შეჯიბრებებზე არა მხოლოდ თბილისელმა წყალში მხტომელებმა, არამედ მათმა მწვრთნელებმა, მამა-შვილმა ალექსანდრე და ირაკლი ბართაიებმა, როგორც მსაჯებმა, მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ბართაიები, როგორც არაერთხელ ვწერდით, საერთაშორისო შეჯიბრებებზე ერთმანეთის მონაცვლეობით მსაჯობენ. ახლა, კუალა ლუმპურში, შვილის — ირაკლის ჯერი იყო და ისიც კვლავ მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა.

— თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ სამ დღეში ოთხ წინასწარ და ექვს ფინალურ შეჯიბრებაში მამსაჯეს — გვითხრა *ირაკლი ბართაიამ* — 32 არბიტრს შორის ყველაზე მაღალი შეფასება მომცეს და ერთი უბრალო გაფრთხილებაც კი არ მიმიღია. არადა, პირველი ორი დღის განმავლობაში სამსაჯოდ არადა არ დამსვეს. მერე, როცა წინასწარ შეჯიბრებებში ეს საქმე მანდეს, გამომიცხადეს, ყველა დანარჩენ ფინალში შენ უნდა იმსაჯოო.

კუალა ლუმპურში ირაკლი ბართაიას საქმიანობა მხოლოდ ამით არ შემოფარგლულა. იგი, როგორც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი, მუშაობის გასაუმჯობესებლად კონტაქტების დამყარებას ცდილობდა. ამის შემდეგ გაჩნდა დაპირება, რომ საქართველოში ერთი სავარჯიშო აუზის ასაშენებლად შესაძლოა 2-3 მილიონი დოლარის გრანტი გამოყონ, რისთვისაც ბართაიას დოკუმენტაციის მომზადება სთხოვეს. ამ საქმეში ჩვენს მხარეს ესტონელთა წარმომადგენელი ლობირებს, რომელიც ევროსაბჭოში პოსტსაბჭოური ქვეყნების სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მუშაობს. იგი გვპირდება, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდება.

ავთანდილ ბუკვიშელი

რუსეთში მეტალურგობას ამერიკაში პინგვინობა ჯობს

ევგენი მალკინმა პიტსბურგთან კონტრაქტი გააფორმა



ევგენი მალკინი „პინგვინად“ თვით მარიო ლემიემ აყურთხა

ლოგიკური დასასრული მოჰყვა ევგენი მალკინის გარშემო არსებულ საგას. ნჰლ-ის გარეთ მოთამაშე საუკეთესო ჰოკეისტად მიჩნეულმა რუსმა კონტრაქტი „პიტსბურგ პინგვინსთან“ გააფორმა.

თუმც სანამ უშუალოდ ამაზე გადავალთ, ერთი-ორი სიტყვა მანამდე არსებულ სიტუციაზე, უფრო კი სკანდალზეც ვთქვათ.

მალკინის მომავალი ნჰლ-ს რომ უკავშირდებოდა, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა. შეუძლებელი იყო, ასეთი დონის მოთამაშეს ერთხელ მაინც არ ეცადა ბედი მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში. თანაც მალკინი 2004 წლის დრაფტზე ძალიან მაღალ, მეორე ნომრად აირჩიეს და მაშინ მხოლოდ თანამემამულე ალექსანდრ ოვეჩკინს ჩამორჩა.

მაგრამ NHL-ის ლოკაუტის გამო მალკინმა რუსეთში, მაგნიტოგორსკის „მეტალურგში“ დარჩენა გადაწყვიტა და ჩრდილო ამერიკის ქვედა ლიგებში თამაშს მსოფლიოს სიძლიერით მეორე ჩემპიონატში გამოსვლა ამჯობინა. თუმც შარშან ევგენი რუსეთში მოთამაშე ჰოკეისტებს ერთი თავით ჯობდა და ამიტომაც ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავი იყო, რომ მალკინი ოკეანისგაღმეთს მიაშურებდა. მით უმეტეს, რომ პიტსბურგში მას მოუთმენლად ელოდნენ.

და მოხდა საოცრება — ივლისის მიწურულს მალკინი აცხადებს, რომ კიდევ ერთი წელი აპირებს რუსეთში დარჩენას. სიტუაცია აირია. ვერავინ ხსნიდა ჰოკეისტის გადაწყვეტილებას.

საბოლოოდ ყველაფერი მაშინ აიბურდა, როცა აგვისტოს შუა რიცხვებში მალკინმა თვითნებურად დატოვა ფინეთში შეკრებაზე მყოფი "მეტალურგის" რიგები და ამერიკაში წავიდა. თანაც გუნდს ფაქსი გაუგზავნა, რომ კონტრაქტს წყვეტდა.

ამას ჰოკეისტის ორკვირიანი დუმილი მოჰყვა, რის შემდეგაც მალკინმა თავისი „გაქცევა“ (როგორც რუსეთში უწოდეს) ნჰლ-ში თამაშის დიდი სურვილით ახსნა. ხოლო, ვინაიდან „მეტალურგის“ პრეზიდენტი გენადი ველიჩკინი ყოველნაირად ხელს უშლიდა „პიტსბურგში“ გადასვლაში, ის იძულებული გახდა, ამერიკაში ასეთი გზით წასულიყო.

ამერიკაში მალკინს ხელებგაშლილნი დახვდნენ. ბოლო კვირები რუსი ლოს ანჯელესში ისეთი ვარსკვალვებთან ერთად ვვარჯიშობდა, როგორებიც მეტიუ შნაიდერი, ჯერემი რენიკი, კრის ჩელიოსი, კრის პრონგერი და სხვები არიან.

ყოველივე ამის ლოგიკური დასასრული კი გუშინ ვიხილეთ, როცა მალკინმა კონტრაქტი გააფორმა. პირობები არ ხმაურდება, მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ რუსმა ახალი კოლექტიური შეთანხმების მიხედვით ახალბედა'თვის შესაძლებელი საუკეთესო კონტრაქტი დაისაკუთრა — კერძოდ, წლიურად 984, 2 ათასს მიიღებს, ხოლო კარგი თამაშისა და ეარკვეული რაოდენობის გოლების გატანის ან საგოლე გადაცემების შესრულების შემთხვევაში, შეიძლება პრემიალურებმა 2,5 მილიონს მიუკაკუნოს.

„ვოცნებობდი ამერიკაში თამაშზე და მიხარია, რომ სურვილი ამიხდა. თან აქ თვით „სუპერმარიო“ ლემიესთან მექნება ურთიერთობა, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, რომ გაცემულ ავანსებს გავამართლებ“ — განაცხადა მალკინმა პრესკონფერენციაზე. რუსს "სუპერმარიომ" 71-ნომრიანი მასურა გადასცა — ამ ნომრით თამაშობდა მალკინი ნაკრებსა და თავის რუსულ კლუბშიც.

„მეტალურგმა“ კი მალკინს საარბიტრაჟო სასამართლოში უჩივლა და ველიჩკინს დიდი იმედი აქვს, რომ ყველაფერი მათ სასარგებლოდ გადაწყდება. თუ ეს მართლა ასე მოხდა, მაშინ „პიტსბურგს“ მალკინის შესანარჩუნებლად "მეტალურგისთვის" გარკვეული კომპენსაციის გადახდა მოუწევს.

აღნიშნულ საკითხზე თავისი სიტყვა თქვა რუსეთის ჰოკეის ფედერაციის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა, წარსულში უცნობილესმა ვლადისლავ ტრეტიაკმა. ლეგენდარულმა კიპერმა, მალკინს დისკვალიფიკაცია ემუქრებაო. თუმც ეს თურმე მხოლოდ რუსეთის ჩემპიონატს შეეხება და არა ნაკრებს. მართლაც, ნამეტანი დიდი ძალაა მალკინი საიმისოდ, ეგრე ერთი ხელის მოსმით რომ დაკარგონ.

ტრეტიაკმა ისიც თქვა, რომ რუსეთის შრომის კოდექსში ცვლილებებია შესატანი, რომლის მიხედვითაც ჰოკეისტს საკუთარი გუნდის სეზონის შუაში მიტოვების საშუალება აღარ ექნება, რითაც რუსული კლუბების უფლებები დაცული იქნება.

ძახა ლომაშვილი

მარტომრბოლი ეგოი მარტინესი მარტოქალის ფონზე

ეგოისტის დღე



ალეხანდრო ვალვერდე ოქროსფერი მაისურის გახდას არ აპირებს

27 წლის ბასკის ეგოი მარტინესის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა „ვუელტას“ გუშინდელი, რიგით მეთერთმეტე ეტაპი, რომელიც ტორელავეგასა და ბურგოსს შორის 173,6 კილომეტრზე იყო გაჭიმული.

გაჭიმულიო, ვამბობთ, მაგრამ პელოტონს მთლად სწორი გზაც არ ჰქონდა გასავლელი — ტრასაზე ორი პირველი, ერთი მეორე, და ერთიც მესამე კატეგორიის მთა იყო და თანაც, ამინდიც აირია, ალაგ-ალაგ კოკისპირულადაც კი წვიმდა და ეტაპი საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა.

მარტინესი, ვინც ამერიკული „დისქოვერის“ ღირსებას იცავს, სადღაც შუა დისტანციაზე გაექცა ძირითად ჯგუფს და კარგა ხანს ეულადაც მიიწევდა წინ. მერე პელოტონს სხვებიც მოსწყდნენ, ამათგან კი ორნი, კიდევ ერთი, ოღონდაც „ეუსკალტელის“ ბასკი ირიგო ლანდალუზი და CSC-ის უკრაინელი ვლადიმირ გუსტოვი დაწინაურდნენ. ლანდალუზმა და გუსტოვმა იმდენი მოახერხეს, რომ მარტინესს დაეწიენ და თითქოს გამარჯვებულის ვინაობა ამ სამთა შორის საფინიშო სპურტით უნდა გარკვეულიყო, მაგრამ მარტინესს მეორე სუნთქვა გაეხსნა და, უკვე ფინიშის სიახლოვეს, ათიოდე კილომეტრით ადრე „დისქოვერის“ მრბოლმა მორიგი იერიში წამოიწყო, რომელიც საბოლოო ჯამში წარმატებული გამოდგა.

მარტინესმა რამდენიმე კილომეტრზე თითქმის წუთი მოუგო მდევართა დუეტს და კარიერაში პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა. ლანდალუზი და გუსტოვი მარტინესს 55 წამით ჩამორჩნენ, ხოლო მდევართა კიდევ ერთმა, ათკაციანმა ჯგუფმა ფინიშს სამწუთნახევრის შემდეგ მიაღწია. რაც შეეხება ძირითად ჯგუფს, რომელშიც საერთო ჩათვლის ლიდერები იყვნენ, ის ფინიშთან მთელი 15 წუთის შემდეგ მივიდა, თუმცალა გენერალურ კლასიფიკაციაში არაფერი შეცვლილა, რადგანაც იგივე მარტინესი ამ ეტაპამდე ოქროსფერი მაისურას მფლობელ თანამემამულესთან ალეხანდრო ვალვერდესთან 27 წუთზე მეტს აგებდა.

ვალვერდე როგორც იყო პირველ ადგილზე, ისევე დარჩა კიდეც და საერთოდაც, პელოტონის თავში არაფერი შეცვლილა. სავარაუდოდ, მე-14 ეტაპამდე არც არაფერი შეიცვლება. მე-14 ეტაპი კი შაბათსა და კუესაში დაყოფილი სტარტით 33 კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა გაიმართება, რომელიც ბევრ კითხვას გასცემს პასუხს.

გია მუჯირი

მე-11 ეტაპი. 6 სექტემბერი.
ტორელავეგა-ბურგოსი. 173,6 კმ.

1. ეგოი მარტინესი (ესპანეთი, დისქოვერი)	4სთ.20წთ.32წმ.
2. ირიგო ლანდალუზი (ესპანეთი, ეუსკალტელი)	+5წმ
3. ვლადიმირ გუსტოვი (უკრაინა, CSC)	+5წმ
4. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	+3წთ.35წმ
5. ალექსანდრ უსოვი (ბელარუსი, AG2R)	+3წთ.35წმ

საერთო ჩათვლა

1. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, ილეს ბალეარსი)	45სთ.54წთ.45წმ
2. ანდრეი კაშეჩკინი (ყაზახეთი, ასტანა)	+27წმ
3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+44წმ
4. ხოსე ანხელ გომეს მარჩანტე (ესპანეთი, სონი დიუვალი)	+56წმ
5. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა)	+1წთ.38წმ

კარლოს ბედნიერი

ესპანელთა კაპიტანი სიხარულის ზღვაში ცურავს

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ესპანელთაგან ევროპის ჩემპიონების ბერძნების მინგრევით (70:47) გამოწვეული ეიფორია პლანეტის ახალი ჩემპიონების სამშობლოში ალბათ კარგა ხანს არ განელდება. ტრიუმფატორი ესპანელები მეფე ხუან-კარლოსმაც მიიღო სასახლეში. ესპანელი ჟურნალისტები კი ახალი კალათბურთელების ინტერვიუებით ვერ კმაყოფილდებიან. ერთ-ერთი ასეთი ინტერვიუ კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე FIBA.COM-ზე გამოქვეყნდა. ესპანეთის ნაკრების კაპიტან კარლოს ხიმენესს თვისტოლი ჟურნალისტი ესაუბრა...

— გილოცავთ, კარლოს, მსოფლიოს ჩემპიონობის ოქროლდო ისეთია, როგორიც წარმოგიდგინათ?

— ძალიან ლამაზი და ძალიან მძიმეცაა, მაგრამ ეს ხომ ზუსტად ასეც უნდა იყოს. სიმართლე გითხრათ, არ მინდა, ხელი გაგიშვა. ვზივარ და მისი ყურებით ვტკბები.

— ფინალში, პაუ გასოლის კარეშე თამაშობდით. ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რომ მის არყოფნაში მსოფლიოს ჩემპიონობას მოიპოვებდით. ახლა შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის ნაკრები ერთი კაცის გუნდი არ არის?

— რა თქმა უნდა... გასოლი მარტო ესპანეთისთვის კი არა, ყველა გუნდისთვის თითქმის შეუცვლელი მოთამაშეა. მე ძალიან მეამაყება, რომ იმ ნაკრების კაპიტანი ვარ, რომელიც ყველაზე მძიმე ვითარებაში არ გატყდა და ბოლომდე კაცურად გაძლო. მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ყველაზე დიდი მოვლენა იყო ყველა ჩვენგანის კარიერაში. ფინალამდე ჩვენ ვიცოდით, რომ რაღაც უდიდესი უნდა გაგვეკეთებინა. გასახდელში ბიჭებმა ერთმანეთს ხელი გადავხვიეთ და დავიფიცეთ, რომ აუცილებლად მოვიგებდით, ამ გამარჯვებას კი პაუს მივუძღვნიდით. პაუმ ფინალში გაგვიყვანა და არგენტინასთან მატჩში მიღებული ტრავმის გამო ვერ თამაშობდა. დავპირდით, რომ ჩემპიონები გავხდებოდით და ჩვენ ის გავაკეთეთ!

— ეს, რა თქმა უნდა, თქვენი მწვრთნელის, პეპე ერნანდეს დიდი დამსახურებაცაა...

— პეპე მარტო მწვრთნელი კი არა, ჩვენი მეგობარიცაა. ყოველი მატჩის წინ ერთსა და იგივეს გვიმეორებდა — თქვენ ხართ საუკეთესოები, თქვენ შეგიძლიათ, ყველას და ყველაფერს მოუგოთ! მერწმუნეთ, ეს სიტყვები ბევრად მეტი იყო, ვიდრე მეტოქის შესწავლა ან ტაქტიკური მონახაზი. ყველანი ერთი მიზნით ვთამაშობდით, ჩვენ ვიცოდით, რომ პეპეს ჩვენი სჯეროდა და მისი განაწყენება უბრალოდ, არ შეგვეძლო.

— კარლოს, ეს ზაფხული თქვენთვის, ალბათ, საუკეთესო პერიოდი იყო. გახდით მსოფლიოს ჩემპიონი, კონტრაქტი გააფორმეთ ესპანეთის ჩემპიონ მალაგის „უნიკახასთან“...

— ერთი მთავარი მოვლენა დაგავიწყდათ. როგორც კი იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩამოვედი, მამა გავხდი. ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს?! ჩემს ყველა წარმატებას და მსოფლიოს ჩემპიონობას სწორედ ჩემს ვაჟს, პაბლოს, და მეუღლეს ვუძღვნი.

— როდის ირწმუნეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებდით?

— ყოველთვის რეალისტი ვიყავი და არასდროს წავსულვარ დიდ ოცნებებში. ამიტომ წინასწარ არასდროს მქონია რწმენა, გინდა თუ არა, ასე მოხდება-მეთქი. ასეთი პირიქვნება ვარ და რა ვქნა? ფინალის დასრულებამდე მხოლოდ ორი წუთიღა ადრე დავიჯერე, რომ საუკეთესოების ტიტულს ვერავინ წაგვართმევდა. ამ მცირე დროში ბერძნები ანგარიშში ამხელა სხვაობას ვერ ამოიჩავდნენ.

— უკვე ვეტერანი ხართ. ესპანეთის ნაკრებში თქვენს მომავალს ხედავთ?

— ვიმედოვნებ, რომ ნაკრებში კვლავ ვითამაშებ. მსოფლიოს ჩემპიონობით არაფერი მთავრდება, პირიქით, დასამტკიცებელი გვაქვს, რომ ეს ტიტული შემთხვევითობა არ იყო. ნაბიჯ-ნაბიჯ ესპანეთი მსოფლიო კალათბურთის მუდმივ გრანდად უნდა ვაქციოთ. პირველ რიგში ეს ჩვენი თაობისთვისაა ძალიან მნიშვნელოვანი. მოდუნების საშუალება და დრო არ გვაქვს.

AFP მაფრიდიდან

ესპანელთა ლიდერი პაუ გასოლი მეფე ხუან კარლოსთან მიღებაზე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტატპი. B დივიზიონი

ავსტრია. ობერვარტი. 6 სექტემბერი

ავსტრია 63:68 საქართველო

19:13 22:13 15:24 7:18

	წთ	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მ.ფ.	ს.ფ.	სულ	პასი	დკ.	ჩჭ.	ქ.
კრისტიან კოლიკი	20	2/3	1/2	0/0	1	2	3	0	2	1	7
პეტერ ჰუტერი	17	0/4	1/3	2/2	2	2	4	0	2	0	5
არმინ ვოშანკი	15	0/0	0/3	0/0	0	4	4	3	0	0	0
ბენჟამინ ორტნერი	24	6/8	0/0	2/2	2	6	8	2	2	0	14
ბერნდ ვოლჩიჩი	35	3/9	2/5	0/0	2	2	4	3	0	0	12
ტომას შრეინერი	23	1/1	1/2	0/0	1	2	3	0	2	1	7
დევიდ იანდლი	25	1/2	1/2	3/6	0	1	1	3	2	0	8
მარტინ კოლმაიერი	8	0/1	0/0	0/0	0	1	1	0	1	0	0
დავორ ლამესიჩი	20	1/3	0/2	1/2	0	1	1	0	2	0	3
ანდრეას ჰელმიკი	11	1/3	0/1	3/4	2	3	5	0	0	0	5

	წთ	2-ქ.	3-ქ.	საჯ.	მ.ფ.	ს.ფ.	სულ	პასი	დკ.	ჩჭ.	ქ.
ტაირონ ელისი	37	0/2	6/10	2/2	0	5	5	5	1	1	20
ანატოლი ბოისა	10	0/0	0/2	0/0	0	3	3	0	0	0	0
მანუჩარ მარკოიშვილი	27	1/2	1/3	4/4	0	2	2	0	1	1	9
ვლადიმერ ბოისა	33	1/2	0/0	3/6	0	2	2	0	1	0	5
ზაზა ფაჩულია	35	6/14	0/0	12/15	2	5	7	0	2	2	24
ლაშა გამყრელიძე	19	0/0	0/0	2/4	0	1	1	4	1	0	2
ვიქტორ სანიკიძე	21	1/1	1/2	0/2	1	5	6	0	1	0	5
ნიკა ცქიტიშვილი	11	0/1	1/4	0/0	0	2	2	0	0	1	3
ვახტანგ ნაცვლიშვილი	1	0/0	0/0	0/0	0	0	0	0	0	0	

წთ — ნათამაშები დრო; 2-ქ. — ორქულიანი; 3-ქ. — სამქულიანი; საჯ. — საჯარიმო; მ.ფ. — მოხსნა მეტოქის ფარზე; ს.ფ.— მოხსნა საკუთარ ფარზე; დკ. — დაკარგვა; ჩჭ. — ჩაჭრა; ქ. — ქულა

პირველში თუ ვერ ვივარგეთ, მეორეში ობერ ვართ

ზაზა, ფაჩულიამ ავსტრიელებს ბურთი არ დაანება

ასე ვითამაშეთ თუ ისე, საბოლოო ანგარიში ტაბლომ გვახარა — 68:63 საქართველოს სასარგებლოდ და გორდონ ჰერბერტის გუნდი მიზანდასახულ სვლას აგრძელებს B-დან A დივიზიონისკენ. არადა, ამ მატჩში მომენტები იყო, ქართველებს კატასტროფას რომ უქადდა: 19 ქულით ჩამორჩენა თამაშის რომელ მონაკვეთშიც გინდა იყოს, პესიმისტურად განგაწყობს, თუმც ქართველებმა ეს გრანდიოზული დანაკლისი გონივრულად აღმოფხვრეს, ავსტრიულ ობერვარტში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს და ქართველ ქომაგსაც იმედის ნაპერწკალი გაუღვივეს.

საქართველოს ნაკრები რამდენად ცუდადაც გამოიყურებოდა პირველ ტაიმში, იმდენად და უფრო მეტად კარგი იყოს შესვენების შემდეგ და მასპინძელი ავსტრია, რომელიც სადებიუტო წარმატების შემდეგ ზეცაში დაფრინავდა, მიწაზე სრულიად გაპარტახებული და შერცხვენილი დაუშვა. ქართველებმა ობერვარტში ბეწვის ხიდზე გაიარეს, თუმც საბოლოოდ სათავისოდ შემოატრიალეს მატჩი და მომავალი წარმატებების რეალურ ამბიციას ხორცი შეასხეს.

ზაზა ფაჩულიას ფაქტორმა გუშინდელ მატჩში გადამწყვეტი როლი შეასრულა. უთამაშებლობის რეალური საფრთხე ატლანტელ ცენტრს ფიბას დისციპლინარებმა აარიდეს, როცა წინა მატჩში ლუქსემბურგელ ელვან ჯონსთან მუშტი-კრივი აპატიეს და დისკვალიფიკაციის ნაცვლად ფულადი ჯარიმა აკმარეს. ჰოდა, ბეწვზე გადარჩენილმა ფაჩულიამ ქართველებს წუხელ 24 ქულა მოუხვეჭა და ჩვენი ნაკრების წარმატებაშიც ლომის წილი დაიდო.

თუ სიმართლეა, ბარემ ბოლომდე ითქვას: ზაზა პირველ ტაიმში გვარიანად დაეჩაგვრინა ავსტრიელთა ახმახ მეფარე ბერნდ ვოლჩიჩს, რომელმაც ისეთი ბრძოლა გაუმართა ჩვენიანს, რომ ფაჩულიას მოედანზე ყოფნას ჰერბერტის გუნდისთვის ვერანაირი ხეირი ვერ მოჰქონდა.

დასაწყისში ქართველების წინა ხაზი უმოქმედო იყო, არადა მოედანზე ქებულ ფაჩულიასთან ერთად არანაკლებ სახელიანი ვლადიმერ ბოისაც ირჯებოდა. თუკი ვინმეს გამორჩევა შეიძლებოდა საწყის წუთებში, ეს უპირველესად ნატურალიზებული ტაირონ ელისი გახლდათ. მისი სამქულიანების წყალობით საქართველომ 5 წუთში 9:6 ლიდერობა მოიპოვა, მაგრამ მერე ამერიკელს პერიმეტრზე გასაქანი შეუზღუდეს და ავსტრიელმა მაღლებმაც გაილაღეს. ბენჯამინ ორტნერის ფარქვეშა სიყოჩაღეს ავსტრიელთა დაწინაურება მოჰყვა და როცა ტომას შრეინერმაც შორი სამიზნე გაისწორა, მასპინძლებმა საწყისი მეოთხედი 19:13 მოიგეს.

პირველ მეოთხედში ჰერბერტმა არაერთხელ სცადა თამაშის გამოსწორება, მაგრამ მოედანზე შესულმა სამარქაფოებმა ხეირი ვერ შეამატეს ჩვენს თამაშს — ნიკა ცქიტიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი და გიორგი ცინცაძე მოედანზე სტატისტების როლში იყვნენ და მწყობრად მოთამაშე ავსტრიელებს უპირატესობის მოპოვებაში ხელი ვერაფრით შეუშალეს.

მეორე მეოთხედი პირველზე უხეირო გამოდგა ჩვენიანთათვის. სამქულიანებზე გადართული გორდონ ჰერბერტის გუნდი ბევრს აცილებდა და კონტრშეტევებით მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ პირველი ტაიმის დასრულებამდე სამიოდ წუთით ადრე უსერიოზულესი ლიდერობა მოიპოვეს — 41:22.

ეს უკვე თითქმის წაგებას ნიშნავდა გუნდისთვის, რომელიც ვერც დაცვაში იყო ეფექტური და შეტევაშიც უაზრო ბურთებს კარგავდა. თუმც ცქიტიშვილის სამქულიანმა და მარკოიშვილის ზუსტმა ჯარიმებმა ჩვენიანებს დიდ შესვენებაზე იმედიანად გასვლის საშუალება მისცეს — 41:26 მასპინძელთა სასარგებლოდ.

შესვენებამ სულზე მიუსწრო საქართველოს ნაკრებს და მოედანზე დაბრუნებული ჰერბერტის სამწყსო სულ სხვაგვარად ათამაშდა. კანადელმა სპეციალისტმა ბურთის გათამაშება ფეხმარდ ლაშა გამყრელიძეს დააკისრა, ხოლო ტაირონ ელისს მსროლელის ფუნქცია შეუთავსა. აი, აქ მოხდა კიდეც გარდატეხა. ზაზა ფაჩულიამ ორტნერს მე-4 პერსონალური აჰკიდა და მისი მოედნიდან გასტუმრებით შეტევაში გზა გაიკაფა, ხოლო ქართველების უკანა ხაზი ერთიორად აკისკასდა და შედეგმაც არ დააყოვნა.

ყოველი მეორე შეტევა ფაჩულიაზე გადიოდა და ეს ნბა-ში ნაწრთობი ცენტრიც უმოწყალოდ ჰკიდებდა მეურვეებს ჯარიმებს. თუ ზაზამ საწყისი საჯარიმოები ქარს გაატანა, მეორე ტაიმიდან სამიზნე გაისწორა და მასზე უხეშობას ქართველთა ქულებად აქცევდა.

შედეგად ჩვენებმა 10:3 მოიგეს მეორე ტაიმის საწყისი 4-წუთეული და როცა მანუჩარ მარკოიშვილმა სამქულიანი ჩააგდო, სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა — 41:47. ამ დროს გორდონ ჰერბერტმა მოედანზე კვლავ უხმო ვიქტორ სანიკიძეს და ნიკა ცქიტიშვილს, რომელთა გრძელი ხელები მეტოქეს პერიმეტიდან ბომბდამშენობაში გვარიანად უშლიდნენ ხელს.

...და ტაირონ ელისმა თავისი მე-4 სამქულიანი მიითვალა, ქართველთა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირა და ამით მასპინძლებს მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა. ამ 19-ქულიანი უპირატესობის განიავებამ ავსტრიელებზე, რა თქმა უნდა, უცუდესი გავლენა იქონია, რომელმაც შედეგი ბოლო მეოთხედში გამოიღო.

ტაირონ ელისი და ლაშა გამყრელიძე ჰერბერტმა ბოლო მეოთხედშიც დატოვა მოედანზე და ეს ორი ნომინალური გამთამაშებელი შეტევის ორგანიზებას ცხრა ძმურად ინაწილებდა. ლაშამ ფეხმარდობაში ყველა ავსტრიელი დაჩაგრა, ხოლო ელისმა კვლავ სამქულიანი მიზანი გამოიჩინა და ანგარიშიც მინიმუმამდე შემცირდა — 57:56 ავსტრიელთა სასარგებლოდ.

სირენამდე 7 წუთი რჩებოდა, როცა ქართველებმა პირველ მეოთხედში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნეს: ფაჩულიას ორქულიანმა ავსტრიელების იმედები გვარიანად შეარყია — 59:58 უკვე ქართველების სასარგებლოდ.

მოიხელთეს თუ არა უპირატესობა, ჩვენებმა დაცვა გაამაგრეს და მეტოქეს ბურთის ჩაგდება მოანატრეს. მეოთხე ათწუთეულის პირველ ნახევარში ავსტრიელებმა ოდენ 2 ქულა მიითვალეს, როცა ქართველებმა ერთბაშად 12 მოქაფეს და სირენამდე 4 წუთით ადრე 62:58 დაწინაურდნენ — ვიქტორ სანიკიძის სამქულიანმა ცელი გამოუსვა დაბნეული ავსტრიელებს.

...ელისი უზუსტეს პასს უჩარხავს მანუჩარ მარკოიშვილს და 64:58 სირენამდე ორწუთნახევრით ადრე ეს გამარჯვება არაა, მაგრამ როცა ფარქვეშ მარტოდმარტო დარჩენილმა ბერნ ვოლჩიჩმა ჩასაგდები ბურთი ააცილა, ქართველებმა გამარჯვება ფაქტობრივად გაიფორმეს.

დიდებულად ჩათამაშებული საფინალო მეოთხედი ჰერბერტის გუნდმა 18:7 მოიგო და ავსტრიელების დამარცხებით სანუკვარ A დივიზიონისკენ სვლა წარმატებით განაგრძო.

ირაკლი პერტაია

ისლანდია 86:93 ფინეთი

	თ	მ	წ	ქ
საქართველო	2	2	0	4
ფინეთი	2	2	0	4
ავსტრია	2	0	2	2
ლუქსემბურგი	1	0	1	1
ისლანდია	1	0	1	1

III ტური. 9 სექტემბერი

საქართველო — ისლანდია

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

A ჯგუფი

აზერბაიჯანი 1:1 ყაზახეთი
1:0 ლადაგა (16), 1:1 ბიაკოვი (36)

სომხეთი 0:1 ბელგია
0:1 ვან ბუიტენი (40)

ფინეთი 1:1 პორტუგალია
1:0 იოჰანსონი (21), 1:1 ნუნუ გომეში (41)

პოლონეთი 1:1 სერბეთი
1:0 მატუშაკი (30), 1:1 ლაზოვიჩი (71)

ფინეთი	2	1	1	0	4:2	4
სერბეთი	2	1	1	0	2:1	4
ბელგია	2	1	1	0	1:0	4
ყაზახეთი	2	0	2	0	1:1	2
პორტუგალია	1	0	1	0	1:1	1
აზერბაიჯანი	2	0	1	1	1:2	1
პოლონეთი	2	0	1	1	2:4	1
სომხეთი	1	0	0	1	0:1	0

C ჯგუფი

ნორვეგია 2:0 მოლდოვა
1:0 სტრამსტადი (74), 2:0 ივერსენი (79)

თურქეთი 2:0 მალტა
1:0 ნიჰათი (56), 2:0 მეთინი (77)

ბოსნია 1:3 უნგრეთი
0:1 პუჯტი (36პ), 0:2 გერა (46), 0:3 დარდაი (50), 1:3 მისიმოვიჩი (64პ)

ნორვეგია	2	2	0	0	6:1	6
თურქეთი	1	1	0	0	2:0	3
ბოსნია	2	1	0	1	6:5	3
საბერძნეთი	1	1	0	0	1:0	3
უნგრეთი	2	1	0	1	4:5	3
მოლდოვა	2	0	0	2	0:3	0
მალტა	2	0	0	2	2:7	0

D ჯგუფი

სლოვაკეთი 0:3 ჩეხეთი
0:1, 0:2 სიონკო (10, 21), 0:3 კოლერი (57)

სან მარინო 0:13 გერმანია
0:1 პოდოლსკი (12), 0:2 შვაინშტაიგერი (29), 0:3 კლოზე (30), 0:4 ბალაკი (34), 0:5 პოდოლსკი (43), 0:6 კლოზე (45), 0:7 შვაინშტაიგერი (47), 0:8 პოდოლსკი (64), 0:9 პიცლშპერგერი (66), 0:10 პოდოლსკი (71), 0:11 პიცლშპერგერი (73), 0:12 ა. ფრიდრიხი (87), 0:13 შნაიდერი (89პ)

გერმანია	2	2	0	0	14:0	6
ჩეხეთი	2	2	0	0	5:1	6
სლოვაკეთი	2	1	0	1	7:4	3
ირლანდია	1	0	0	1	0:1	0
უელსი	1	0	0	1	1:2	0
კვიპროსი	1	0	0	1	1:6	0
სან მარინო	1	0	0	1	0:13	0

E ჯგუფი

რუსეთი 0:0 ხორვატია

ისრაელი 4:1 ანდორა
1:0 ბენაიუნი (9), 2:0 შუშანი (11), 3:0 გერშონი (43პ), 4:0 ტემილე (69), 4:1 ფერნანდესი (84)

მაკედონია 0:1 ინგლისი
0:1 კრაუჩი (46)

ინგლისი	2	2	0	0	6:0	6
ისრაელი	2	2	0	0	5:1	6
მაკედონია	2	1	0	1	1:1	3
ხორვატია	1	0	1	0	0:0	1
რუსეთი	1	0	1	0	0:0	1
ესტონეთი	2	0	0	2	0:2	0
ანდორა	2	0	0	2	1:9	0

F ჯგუფი

შვედეთი 3:1 ლიხტენშტაინი
1:0 ოლბოკი (1), 1:1 ფრიკი (27), 2:1 ოლბოკი (70), 3:1 როზენბერგი (89)

ლიუნგბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (88, შვედეთი)

ისლანდია 0:2 დანია
0:1 რომედალი (5), 0:2 ტომასონი (33)

ჩრდ. ირლანდია 3:2 ესპანეთი
0:1 ხავი (14), 1:1 ჰილი (20), 1:2 ვილია (52), 2:2, 3:2 ჰილი (64, 80)

შვედეთი	2	2	0	0	4:1	6
ესპანეთი	2	1	0	1	6:3	3
დანია	1	1	0	0	2:0	3
ისლანდია	2	1	0	1	3:2	3
ჩრდ. ირლანდია	2	1	0	1	3:5	3
ლატვია	1	0	0	1	0:1	0
ლიხტენშტაინი	2	0	0	2	1:7	0

G ჯგუფი

ბულგარეთი 3:0 სლოვენია
1:0 ბოჟინოვი (58), 2:0 მ. პეტროვი (70), 3:0 ტელკისკი (80)

ალბანეთი 0:2 რუმინეთი
0:1 დიკა (65), 0:2 მუტუ (75პ)

ჰოლანდია 3:0 ბელარუსი
1:0, 2:0 ვან პერსი (32, 78), 3:0 კუიტი (90)

ჰოლანდია	2	2	0	0	4:0	6
ბულგარეთი	2	1	1	0	5:2	4
რუმინეთი	2	1	1	0	4:2	4
ალბანეთი	2	0	1	1	2:4	1
ბელარუსი	2	0	1	1	2:5	1
სლოვენია	1	0	0	1	0:3	0
ლუქსემბურგი	1	0	0	1	0:1	0

გერმანიამ ნამუსზე ხელი აიღო

AFP სან მარინოდან

გასაკვირია, როგორ მოახერხა ჯერალდ ასამოამ და, გოლი ვერ გაიტანა

AFP ბელორუსიდან

ფინეთი — პორტუგალია 1:1. ჯონათან იოჰანსონი რიკარდუ კარვალიუს საგოლედ ერთხელ დაუსხლტა

AFP ირლანდიიდან

ჰოლანდიელებმა ბელარუსები აშკარად დაჩაგრეს

გუშინ მილანში იტალია ჯაჩინტო ფაჯეტის გამოეთხოვა

AFP მილანიდან

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი
UEFA UNDER-21 Championship
შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი	
ნორვეგია	1:1 ბოსნია
III ჯგუფი	
სერბეთი	2:0 ლიტვა
IV ჯგუფი	
ბელგია	2:1 საბერძნეთი
VI ჯგუფი	
რუსეთი	3:1 უნგრეთი
VIII ჯგუფი	
შვეიცარია	2:3 ინგლისი
IX ჯგუფი	
ჩეხეთი	2:1 ბელარუსი
XII ჯგუფი	
ხორვატია	1:2 უკრაინა
XII ჯგუფი	
თურქეთი	0:0 ისრაელი

ჯვის თასი 2007 წელი

შესარჩევი ეტაპი	
კორეა	8:0 ტაივანი
სინგაპური	0:0 ჩინეთი
ჰონგ კონგი	0:0 უზბეკეთი
იემენი	0:1 იაპონია
ერაყი	2:2 პალესტინა
საამიროები	0:0 იორდანია
ყატარი	3:0 ბანგლადეში
სირია	0:2 ირანი
ომანი	5:0 პაკისტანი
ავსტრალია	2:0 ავსტრალია
საუდეთი	7:1 ინდოეთი

ირლანდია

ლიგის თასი	
ნახევარფინალი	
ლიმერიკი	0:3 დერი

ამხანაგური მატჩები

ავსტრია 0:1 ვენესუელა
შვეიცარია 2:0 კოსტა რიკა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ნათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00